

იიფები +

ყოველთვიური საგანმანათლებლო-საინდუსტრიალური უნივერსიტეტი
შესაძლებლობების მქონე პირებისათვის

1713
2010

№ 2 (12), ოქტომბერი 2010



ყველგანევალ საინდუსტრიალური უნივერსიტეტი
საქართველოშიც აღზადება

UDC(uak) 050-056.
26+369.25+368. 945-0 -474

სარგებლობის საბჭო	
თემურაშ მიქიაშვილი კარლო მუშკუდიანი	
მთაგარი რედაქტორი	
თემურაშ მიქიაშვილი ტელ 893335887	
გამოცემელი რედაქტორი:	
კარლო მუშკუდიანი ტელ.: 897203960	
დონაციერი	
გიორგი ჯვარშვილი	
გამოცემელი:	
გაგშირი „იმედი+“	
საპონტაქტო 06 ფორმაცია	
ქურნალი „იმედი+“ ს.ჩიქოვანის ქ.14 ტელ.: + 995(32) 365627 ელ ფოსტა: pr_imediplus@yahoo.com	
ქურნალი რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი: 01343/12/0726	

ერთი წელი მკითხველთა სამსჯავროზე	2
ხელი მოეწერა სახელმწიფო საკოორდინაციო	
საბჭოს შექმნას	3
სამწლიანი სამოქმედო გაგმა დამტკიცებულია	4
ყველგანმავალი საინვალიდო ეტლებს	
საქართველოშიც ამზადებენ	4
ფინჯან ყავაზე	5
შესაძლებლობა და უძლურება	9
ჯანმრთელობის, დაავადების და ინვალიდობის	
ცნების სოციალური მნიშვნელობა	10
ზურაბ გურჩიანის პოეზია	13
უბარიერო გარემო	15
ადაპტიური ფიზიკური აღზრდა ოჯახის პირობებში	19
ფსიქიკური ჯამრთელობა ყველასთვის	21
ალილობა თბილისში	22
სოციალური დაცვის ახალი გარანტიები ომის ინვალი- დებისა და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის	22
თანადგომა	23
6 მილიონი ევრო ევროპარლამენტისაგან	23
უნდა ირწმუნო, რომ გაიმარჯვო, ანუ 60 ვარჯიში	
სიცოცხლისათვის	25
ეპილეფსია	27
სიმარდის განმავითარებელი ვარჯიშები	29
პაროლიმპიური ამბები	31
მოზაიკა	32

ურნალი ვრცელდება უფასოდ

გარეკანის პირველ გვერდზე: გელა ლალიძე დაზგასთან.
გარეკანის ბოლო გვერდზე: სოსო ჯალმაძე და გია გრიგოლაია,
მუშაობის დროს.



იბეჭდება ფონდი ლია საზოგადოება-
საქართველოს მხარდაჭერით

ურნალი გამოდის 2009 წლის იანვრიდან

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის მოსაზრება შეიძლება არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. უურ-
ნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი. უურნა-
ლისტის მიერ ჩანარილი აუდიო მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში. აღნიშნული
ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

უურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოსურათების გადაბეჭვდა რედა-
ქციასთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტი-
ლზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

ერთი წელი მკითხველთა სამსჯავროზე

უკვე ერთი წელი შესრულდა რაც არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო უურნალი "იმედი". თქვენს წინაშე არსებული მე-12 წლის შეზღუდულის სარედაქციო საბჭოს ერთწლიანი მუშაობის ერთგვარი დასკვნითი აკორდია. უურნალის მკითხველების გამოხმაურებები საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ უურნალმა თავისი ადგილი დაიმკიდრა ჩვენს ქვეყანაში არსებულ მასმედიის საშუალებებს შორის. სარედაქციო საბჭო წამდვილად არ ელოდა, რომ მას ასეთი მოწოდება და აღიარება ხვდებოდა წილად არა მარტო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს შორის, არამედ, ფართო საზოგადოებაშიც.

დიდი მადლობით გვინდა მოვიხსენიოთ ფონდი "ლია საზოგადოება — საქართველოს" მმართველი საბჭო და პირადად მისი აღმასრულებელი დირექტორი, ქალბატონი ქეთევან ხუციშვილი, რომელთა დამსახურებაა უურნალის არსებობა.

წლის განმავლობაში რედაქციას ცდა არ დაუკლია იმისათვის, რომ უურნალი თემატურად მრავალფეროვანი ყოფილიყო. ვცდილობდით მნიშვნელოვანი ყურადღება დაგვეთმო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა ყოფილების, მკურნალობის, რეაბილიტაციის და მათი სოციალური ინტეგრაციის საკითხებისათვის. თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის თაობაზე მიღებული კანონები — კომენტარებით. იყო მცდელობა მკითხველი გაცნობოდა ინვალიდობის წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. შექდებოდა ფსიქოლოგების, ტრავმატოლოგების, ადაპტიური ფიზიკური აღზრდის, ექიმების და სხვა სპეციალისტების რჩევა-დარიგები. გამოქვეყნებული სტატიებით ვცდილობდით ხელი შევვენყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების პრობლემებისადმი და, ზოგადად ინვალიდობისადმი, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას.

უურნალის რედაქციამ შეძლო კავშირი დაემყარებინა ქვეყნის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. გამოცემული ნომრები რეგულარულად მიეწოდებოდა პრეზიდენტის ადმინისტრაციას, მთავრობის კაბინეტს, ქვეყნის პარლამენტს, სახალხო დამცველის აპარატს, საჯარო ბიბლიოთეკას, რიგ სამინისტროებს, საპატრიარქოს, რეგიონების მუნიციპალიტეტებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორგანიზაციებს, ქვეყანაში მოქმედ აღნიშნული

პროფილის კოალიციებს, კავშირებს, ჯგუფებსა და კერძო პირებს.

შესანიშნავ თანამშრომლობას ჩაეყარა საფუძველი ქვეყნის სახალხო დამცველის აპარატთან, კოალიციასთან „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“, საქართველოს „ღვთისშვილთა კავშირთან“, უსინათლოთა კავშირთან და ა.შ. აღსანიშნავია ის უანგარო თანადგომა და უურნალთან აქტიური თანამშრომლობა, რასაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიოს-მდივანი, ბატონი იგორ დოლიძე იჩენს. უურნალის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა საჭირო, მაღალპროფესიონალური სამედიცინო მეცნიერული ხასიათის სტატიები.

სარედაქციო საბჭო ცდილობდა უურნალის ფურცლებზე ასახულიყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შემოქმედება. ამ თვალსაზრისით უნდა გამოიყოს თანამშრომლობა საქართველოს უსინათლოთა კავშირთან, რომელსაც გააჩნია უდიდესი ინტელექტუალური ბაზა. უურნალის საშუალებით მკითხველები გაეცნენ უსინათლო ნიჭიერი შემოქმედების — ბატონების ამირან ლოდაძის, ნოდარ მამაცაშვილის და ზურაბ გურჩიანის პოეზიას. მკითხველთა მოწოდება დაიმსახურა ნიჭიერი პოეტისა და პუბლიცისტის, ქალბატონ ცირა ვეფხვაძის შემოქმედებამ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს „ღვთისშვილთა“ კავშირის თავმჯდომარის ბატონ ზაზა სიხარულიძის პოეზიის შესანიშნავი ნიმუშების შესახებ. აღნიშნის ლირსია ნიჭიერი შემოქმედის, ქალბატონ მარინე ქაციბაიას თანამშრომლობა უურნალთან, რომლის სამოდელო ესკიზებმა და ლექსებმა სათანადო დაფასება ჰპოვა მკითხველებში.

უურნალის რედაქცია თავის შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდა კავშირი დაემყარებინა რეგიონების მუნიციპალიტეტებთან. უურნალის პირველი ნომრის გამოსვლისთანავე სპეციალური წერილით მივმართეთ ქვეყნის ყველა მხარის პრეზიდენტის რწმუნებულს და რეგიონების ხელმძღვანელებს უურნალთან თანამშრომლობის თაობაზე. უნდა აღინიშნოს ის დადებითი ტენდენციები და გულისხმიერება, რასაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი პრობლემების მიმართ იჩენენ გურიის მხარის რწმუნებული ბატონი ვალერიან ჩიტაიშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი დავით ლომიძე. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი,

ბატონი გიორგი გოზალიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი გიორგი წვერავა. ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი ანდრო მათოშვილი და ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი იოსებ ლალიაშვილი. მისი აქტიურობითა და დიდი მხარდაჭერით ბოლნისში გაიხსნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრი „განთიადი“. ასევე უნდა აღინიშნოს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჰასუხისმგებელი მუშაკის, ქალბატონ მარინე სვანიძის ნაყოფიერი თანამშრომლობა უურნალთან.

გულისტკივილით უნდა აღინიშნოს იმ ინერცულობის შესახებ, რასაც ქვეყნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული სკოლების ხელმძღვანელობა იჩენს უურნალთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. რატომდაც გვეჩვენება, რომ აღნიშნული პროფილის სკოლათა დირექტორები ვერ განთავისუფლდნენ საბჭოური მენტალობის ტყვეობიდან, მჭიდროდ აქვთ მიხურული კარები და თან დიდი რაზა-ბოქლომებით იკეტებიან. არადა თბილისის ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა №203 საჯარო სკოლაში ჩვენი სტუმრობით უამრავი ხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებული მოზარდი გამოვლინდა, რომელთა შემოქმედება ფართოდ აისახა უურნალის ფურცლებზე. ეს იმის დადასტურებაა, რომ საჭიროა უურნალთან თანამშრომლობა

და ახალგაზრდებისათვის თვითრეალიზაციის პირობების შექმნა, რაც დიდად შეუწყობს ხელს მათ საზოგადოებასთან ინტერაციას და ა.შ.

უურნალის გამოცემის ერთნლიან პერიოდში 200-ზე მეტი პიროვნების სატელეფონო, წერილობითი და ელექტრონული შეტყობინება შემოვიდა, რომლებიც ძირითადად სამადლობელი ხასიათისაა, მაგრამ ამასთან, მკითხველები მოითხოვენ, მეტი ყურადღება გამახვილდეს მკურნალობისა და რებილიტაციის ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა ბავშვთა ცერებრული დამბლა, ეპილეფსია, აუტიზმი, ტრავემბი, ტრავმის შემდგომი რეაბილიტაცია და ა.შ. არის წერილები, რომლებიც ეხება მათი სოციალური მდგომარეობის ასახვას და საჯაროდ გამოტანას, გვთხოვენ ადგილებზე ჩასვლას, ასევე არის მოთხოვნა უფრო ფართოდ აისახოს საინვალიდო და სარეაბილიტაციო სპორტის თემატიკა და ა.შ. აღნიშნული გვაფიქრებინებს უურნალში შემოვილოთ რუბრიკები გამოკვეთილი თემატიკის მიხედვით. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი დასტურია იმისა, რომ საზოგადოებამ მიიღო უურნალი, გაიჩინა საკუთარი მკითხველი, ელოდებიან შემდგომი ნომრის გამოცემას, ყოველივე ეს კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს უურნალის სარეაბილიტაციო საბჭოს, რომელიც დიდ იმედს ამყარებს მკითხველის აქტიურობასა და თანადგომაზე.

ხელი მოეწერა სახელმწიფო საკოორდინაციო სამსახურის შექმნას



საქართველოს მთავრობის № 231 დადგენილებით ხელი მოეწერა (15 დეკემბერი, ქ. თბილისი) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს შექმნას. საბჭოში შევიდნენ:

ნიკა გილაური - საქართველოს პრემიერ მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე;

დავით ტყეშელაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტუქტურის მინისტრი;

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ალექსანდრე კვიტაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

კახა ბაინდურაშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

ზურაბ პოლოლიკაშვილი - საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი;

დიმიტრი შაშვინი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;

ნიკა რურუა - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი;

საბჭოს მუშაობაში წევრის სტატუსით მონაწილეობის მიღება ეთხოვათ;

ოთარ თოიძეს - საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხების კომიტეტის თავმჯდომარეს;

მაგდა ანიკაშვილს - საქართველოს პარლა-
მენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის მოად-
გილებს;

ამირან ბატატუნაშვილს - "საქართველოს ყრუ-
თა კავშირის" წარმომადგენელს;

რეზო მაისურაძეს - "საქართველოს უსინათ-
ლოთა კავშირის" წარმომადგენელს;

გიორგი ძენელაძეს - "ინვალიდთა ლიგის" წარ-
მომადგენელს;


ზაზა სიხარულიძეს - "ლვის შვილთა კავშირის"
წარმომადგენელს;

მაია ლომიძეს - "კავშირი ადამიანებისთვის,
განსაკუთრებულ მზრუნველობას რომ საჭიროე-
ბენ" წარმომადგენელს;

მაიაბიბილეიშვილს - "ინვალიდი ბავშვი, ოჯახი
საზოგადოების" ასოციაციის წარმომადგენელს;

მადონა ხარებავას - კავშირი "დეას" წარმოამ-
დგენელს".

სამწლიან სამოქმედო გეგმა დამცვიცებულია



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სამწლიანი
სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამკტიცების შესახებ განკარგულება
გამოსცა (№ 978, 2009 წლის 15 დეკემბერი, ქ. თბილისი)

სამწლიანი სამოქმედო გეგმის დაწერა შესაძლებელი გახდა
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის
კონცეფციის მიღების შემდეგ, რომელსაც საქართველოს პარლამენტმა
2008 წლის 2 დეკემბერს უყარა კენჭი და ერთი მოსმენით მიიღო.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგ-
რაციის სამწლიანი სამოქმედო გეგმა საქართველოშიამყარებს სრულიად
ახალ ხედვასა და მიდგომებს, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო
სტანდარტებთან და ნორმებთანან მოდის ჰარმონიზაციაში. მან უნდა
მოახდინოს ახალი საკანონმდებლო ინიციატივების გამოვლენა და
მიღება, მოაგვაროს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების

და ექსპერტიზის პროცედურების ინვალიდობის მქონე ადამიანების ჯანმრთელობის
დაცვის, რეაბილიტაციისა და ადაპტაციის საკითხები. სამოქმედო გეგმის მიხედვით უნდა შეიქმნას
მაქსიმალურად და სრულყოფილი სტატისტიკა და მონაცემთა ბაზა, მოხდეს ინფრასტურებულის ადაპტირება
და ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობა, გაუმჯობესდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა
და საქმების, სოციალური დაცვის უზრუნველყოფა, მოხდეს ინვალიდობის მქონე ადამიანების ჩართულობა
ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებში,
განავითარდეს საინვალიდო სპორტი.

ყველგანმავალ საინვალიდო ეტლებს საქართველოშიც ამზადებენ

კოალიციამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის დაიწყო ყველგან-
მავალი ეტლების წარმოება. ეტლები დამზადდება ინდივიდუალური
მორგებით, ადამიანის სიმაღლისა და წონის მიხედვით, რაც შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის და მათი მობილურობისთვის
ძალიან მნიშვნელოვანია.

აქამდე საქართველოში ძირითადად ერთი ზომის და სტანდარტის
ეტლები ვრცელდებოდა, რაც დაახლოებით იგივე იყო, რომ ყველა ადა-
მიანისათვის ერთი ზომის ფეხსაცმელი შეკერილიყო. საქართველოში სა-
ინვალიდო ეტლების წარმოება დიდი ხნის ოცნება იყო, რაც ამიერიდან
რეალურ საქმედ იქცა.

ახალი საინვალიდო ეტლი უნიკალური კონსტრუქციისაა. ის საუკეთე-
სო საშუალებაა ხრიოკ, უსწორმასწორო გზებზე სიარულისათვის. არის
მოქნილი მოძრაობაში, აქვს საუკეთესო ბალანსი და ბორბლების ბრუნ-





ვა, რის გამოც ადვილად სამართავია. ამ ეტლით მოსარგებლე ადამიანი დაზღვეულია ამოყირავებისგან, წაქცევისგან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ისეთ გზებზე სიარულისას, როგორიც ჩვენს

ქვეყანაშია. მას უკვე შეარქევს "ყველგანმავალი", რადგან ბარდიურების გადალახვა, თუ მოხრეშილ გზებზე სიარული სხვისი დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად არის შესაძლებელი.

ყველგანმავალი ეტლის კონსტრუქცია ეტლით მოსარგებელბე პირს, რალფ ჰორკისს ეკუთვნის, ხოლო პროექტის სულის ჩამდგმელები, მასთან ერთად რუს ქურთისი და მარკ კრიზაკია, რომლებიც ერთი თვის მანძილზე საქართველოში იმყოფებოდნენ და პირველი ნიმუშები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქართველ სპეციალისტებთან ერთად ააწყვეს.

ყველგანმავალი საინვალიდო ეტლები პროექტის - საქართველოს ეტლების წარმოების ქსელის - ფარ-

გლებში გახდა შესაძლებელი, რომელსაც კოალიცია დამოუკიდებელიცხოვრებისათვისპარტნიორორგანიზაციებთან - ინვალიდობის მსოფლიო ინსტიტუტთან (WID) და WhirlWind Wheelchair-თან ერთად აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. პროექტი მიზნად ისახავს ეტლით მოსარგებლე პირთა გააქტიურებასა და საზოგადოებაში ინტეგრირებას. მისი განხორციელების არეალი თბილისის გარდა შიდა ქართლისა და სამეცნიეროს რეგიონებია. პროექტში დასაქმებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 22 ადამიანი, რაც თანაბარი უფლებების უზრუნველყოფის მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია

ეტლების წარმოების ორგანიზაციის მისამართი არ თავით აღმაშენებელის ხეივანი, მეთორმეტე კილომეტრი



თიბის ყავაზე

იმრა ვეზევაძე



ზღვა სულ უფრო ხმაურობს, მლელვარება ემატება. ალბათ, მალე განვიმდება. ჩვენ ისევ ყავას ვსვამთ და ვსაუბრობთ.

-ბოლო დროის მოვლენებმა ცხადყო, რომ საქართველოს უსინათლოთა

კავშირში შენს კურსს მხარს უჭერენ, სჯერათ შენი, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ უსინათლოთა გარკვეული ნაწილი მოურიდებლად გაკრიტიკებს. რა გრძნობა გაქვს მათ მიმართ? მოწინააღმდეგები, როგორც წესი, არ უყვართ ხოლმე. თუ შეგიძლია მათში ღირსების დანახვა? ვის გამოყოფილი ყველაზე მეტად?

-უპირველესად, იმას გეტყვი, რომ კავშირის წევრთა უმრავლესობა ინერტული მასაა, რომელსაც არ ესმის და არც სურს გაიგოს ჩვენში მიმდინარე პროცესები. დანარჩენ წევრთა უმეტესობა მენდობა, რაც ძალზე მახარებს. მარტო კაცი, რაგინდ

ჭკვიანიც უნდა იყოს, ვერაფერს გახდება, ამიტომაც გუნდური პრინციპით მართვის მომხრე ვარ მუდამ. ჩვენმა სკოლამ ერთიანობის გრძნობასთან ერთად კარგი განათლებაც მოვცა. მომავალ თაობებში, მცირე გამონაკლისის გარდა, სწავლის მიმართ ინტერესი არ იგრძნობა. ის მცირე ნაწილი კი მნიშვნელოვან ცვლილებებს ვერ განახორციელებს, ამინდს ვერ შექმნის, რაც კავშირის საქმიანობის წარუმატებლობის მიზეზი შეიძლება აღმოჩნდეს.

მოწინააღმდეგეთა შორის, ცხადია, ლირსეულნი არიან, რაც სხვადასხვა ასპექტში ვლინდება. მაგალითად: ბატონი ანზორ მღვდელაძე განონასწორებული კაცია, განათლებული, მაგრამ უბედურება ის არის, მოსმენა, კამათში აყოლაარუყვარს, აჩემებულ იდეას არ შეიცვლის; ბატონი ნოდარ ქუთათელაძე, ხანდაზმულობის მიუხედავად, ბევრზე ჭკვიანია, ლოგიკური მსჯელობა შეუძლია, მაგრამ პირადულს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებს. თუ ბაზას დავუთმობთ, ეგ კაცი რადიკალურად შეიცვლება;

რაც შეეხება ახალგაზრდებს, ისინი ძაფშებმული სათამაშოები არიან ვიღაცის ხელში. ცხა-

დღია, ღირსება მათაც აქვთ, მაგრამ განდიდების მანია სჭირო, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა აღელვებთ. „სახლი აქვთ საყიდელი“ და იმის იქით არაფერო აინტერესებთ. ამიტომაც „მმართველი“ ხელს უწყობს თანამდებობის დაკავებაში — „სახლს ჰპირდება“, რათა შემდეგ საკუთარი სურვილისამებრ ათამაშოს.

-სულ მინდოდა მეკითხა, თუ არ ვცდები, შენ 1997 წელსაც შემოგთავაზეს თავმჯდომარეობა, მაგრამ უარი თქვი. რა იყო მიზეზი?

-ორი რამ: პირველი - ოჯახი მაშინ ფეხზე დგებოდა, კრიტიკული ზღვარი გადალახული იყო, მაგრამ სტაბილური შემოსავალი ჯერ არ გვქონდა. თავმჯდომარის ხელფასი 25 ლარს შეადგენდა. ვთქვათ, ავერჩიე კიდეც, რით უნდა გვეცხოვრა? არ ვმალავ, რომ პრაგმატული ვარ. პასუხისმგებლობას ვგრძნობდი ოჯახის წინაშე. მეორე — საქმის ვითარებას კარგად არ ვიცნობდი. მაფიქრებდა, რომ სხვისი ზეგავლენის ქვეშ არ მოვქცეულიყავი- სხვას არ დავ- მორჩილებოდი საქმეში ჩაუხედაობის გამო. სხვისი მიზეზით შეცდომა რომ დამეშვა, მთელი ცხოვრება დალად დამრჩებოდა. გარანტირებული შემოსავალი მინდოდა მქონოდა, რომ არ მომეპარა. მოკლედ, „სახლი რომ არ მეყიდა“, რადგან უკვე მქონდა.

-წელან კრიტიკული ზღვარი ახსენე, ბევრნი კი ფიქრობენ, რომ შენ არასდროს გაგჭირვებია, მუდამ უზრუნველად ცხოვრობდი და ცხოვრობ ახლაც. როგორც ჩანს, 90-იანი წლებმა შენც დაგაზარალა.

-მერე როგორ. მათემატიკური სიზუსტით მახსოვს ეგ პერიოდი, ყველაზე კრიტიკული ჩვენი ოჯახისთვის 1993 წლის შემოდგომა იყო, როდესაც მეტროდან შინამდე უფლობის გამო ფეხით დავდიოდით. ეს ის დრო იყო, როცა სამკაულები და ლილები აღარავის უნდოდა. მახსოვს, ლუდამ სახლში ყავა იპოვა, გაყიდეთ და ლევანი დავაპურეთ. ხახვი და ზეთი ჩემს დას მოჰქონდა ხოლმე, პურის შეჭამანდით გავდიოდით იოლას. 1994 წლის 7 იანვარს ებრაელმა კლიენტმა ლილები უკანასკნელად შემიკვეთა. სასწრაფოდ დავამზადე და აღებული ფულით ლევანს წითელი ქურთუკი და თბილი ჩემები უყიდეთ. მახსოვს, როგორი ბედნიერი წავიდა საახალწლო კონცერტზე ფილარმონიაში.

მერე ისე მოხდა, რომ ჩემმა ძმამ მანქანის ნაწილი გაყიდა ჩემი მეგობრის სოფელში. მთხოვა: ფული ჩამოიტანე და ნახევარი შენი იყოსო. 14 იანვარს ჩავედით. ბადრის ეზოში მანქანას მანდარინით ტვირთავდნენ, ჩვენც მივეხმარეთ. იმ საღამოს ძველით ახალი წელი აღვნიშნეთ. ბადრიმ: ეს მანდარინიხომ გაყიდე, ფორთოხალი ჯანდაბას, თუდალ-ბება, დალპესო. იმ ღამით მეულლეს მოველაპარაკე და მეორე დილას ბადრისგან ნისიად აღებული 100

კილო ფორთოხალი თბილისში ჩამოვიტანეთ გასაყიდად. ნავთლულის ბაზარზე ბევრი ვერაფერი გავყიდეთ, მერე, ლუდას წინადადებით, ვარკეთილის მეტროსთან დავდექით და ძალიან გაგვიმართლა. 14 იანვრიდან 1-ლ მარტამდე ექვსი რეისი მოვასნარით. მატარებლით დავდიოდით: ორი დღე აქედან, ორი — იქიდან, საშინელება იყო, მაგრამ იმდენი ფული კი მოვიგეთ, რომ ჯაბასთან ერთად ჯიხური გავხსენი — ვაჭრობა დავიწყეთ. ჩვენი ჯიხურის გარდა, მეტროსთან კიდევ ხუთი ჯიხური იდგა, ჭკუა ვიხმარე და ჯიხურების პატრონებს ვურჩიე, თანხა გაგვეღო და ქალაქის მერიიდან მაღაზიების მშენებლობის ნებართვა აგველო, ასეც მოვიქეცით. 1996 წელი იყო. მაღაზიები უკვე აშენებული გვქონდა, როცა მოხვიეს ხელი და ყველა ჯიხური აიღეს. საქმე კარგად ნაგვივიდა, დღიური ნაგაჭრი 600 ლარზე ნაკლები არ გვქონია მთელი წლის განმავლობაში. სტაბილური შემოსავალი სწორედ მაშინ გაჩნდა.

-და გადარჩით.

-ეგრეა.

-როგორც ჩანს, სასოწარკვეთა, ხელის ჩაქნევა არ გჩვევია, ყოველგვარ მდგომარეობაში ეძებ და პოულობ გამოსავალს.

-ჰო, ასე გამოდის.

-როგორც შენი საუბრიდან ირკვევა, ბევრი რამის გაკეთება შეგიძლია.

-თუ ტრაბახში არ ჩამომართომევ, კი. რაღა არ მიკეთებია: ჭაღები, ჯაგრისები, ღილები, მძივები, საყურეები... ცელოფნის პატარა პარკებს თავად ვკერავდი. დაზგა და დასანებებელი თავად გავაკეთე — სპეციალური ზამპარა იყო იზოლატორიანი რკინის სავარცხელზე დახვეული, ის ცხელდებოდა, დავარტყამდი და წებდებოდა. სხვადასხვა სამქროში მუშაობისას ყველაფერს ვაკვირდებოდი, უსწავლობდი. ჩხირკედელაობა ბავშვობიდანვე მაინტერესებდა (ხერხის, ჩაქურის, ლურსმნის ხმარება): ვამზადებდი პატარა სკამებს, მაგიდებს. რა თქმა უნდა, ისეთი არ გამოდიოდა, მაგრამ ამგვარი საქმიანობა ძლიერ მიყვარდა. თანაც, მამა არასოდეს მიკრძალავდა, პირიქით, მაგულიანებდა კიდეც. მერე, როგორც ხედავ, ცხოვრებაში ძალიან გამომადგა.

-შენი თავმჯდომარეობის დასანყისი მინდა გაიხსენო, პირველი წარმატებული ნაბიჯები.

-უპირველესად, ჩვენი ორგანიზაციების თანამშრომელთა ხელფასები საქართველოს უსინათლოთა კავშირის რეალური შემოსავლის გათვალისწინებით შევამცირეთ. შემდეგ საკმაო თანხით ინვალიდთა ლიგა დაგვეხმარა და რვათვიანი სახელფასო დავალიანების გადახდა შევძელით. ჩემი თავმჯდომარეობის პირველი დღიდან აქამდე საქმისთვის არასოდეს მიღალატრია. ახლაც ჩვენი საბუთები პროკურატურაშია, მაგრამ მშვიდად ვარ. იცი? პრი-



ორიტეტი ფული კი არა, საქმე უნდა იყოს. როგორც კი ფულით დაინტერესდები, ფულს დაეხარბები და საქმე დაგავიწყდება, იმას მერე ცუდი შედეგი ექნება, მით უფრო, ჩვენს დროში.

-პოლ ვალერი ამბობს: თანამდებობას ხიბლი ეკარგება, თუ ერთხელ მაინც ბოროტად არ გამოიყენებო. რას იტყვი?

(სერიოზულად მიპასუხა): -შეგნებულად არა-სოდეს. ერთი რამ არასდროს მავიწყდება, რომ ჩემი და საერთოდ ყველა თანამდებობა დროებითია, წარმავალი. ხვალ და ზეგ რომ ადამიანი შეგვდება, შენში ცვლილება არ უნდა შენიშნოს. ვინც ახლოს მიწნობს, მგონია, დამეთანხმება, რომ არ შევცვლილვარ. შესაძლოა, ვცდები, თუმცა ამას უკეთ გავიგებ, როცა თავმჯდომარე აღარ ვიქნები. საბრალოა კაცი, რომელსაც თავში აუვარდება, რადგან ის მალე ხალხს სცილდება და მარტო რჩება. ასეთ კაცს რაც მოუვა, იცი. ალალად ვიტყვი: თანამდებობა ჩირად არ მიღირს და ახლავე შემიძლია დავტოვო, ოღონდ თანამოაზრებმა შიშში არ ჩამომართვან, ღალატად არ ჩამითვალონ.

-უ გაიკირვებ, რასაც ახლა გეტყვი: შენ შესანიშნავი შემთხვევა მოგეცა შარშანდელ არჩევნებზე, თავმჯდომარეობაზე კენჭი აღარ გეყარა. მაშ, უარი რატომ არ თქვი, თუ „ჩირად არ გიღირდა“?

-იმუამად შემცვლელს ვერ ვხედავდი, თუმცა ჩემი ირგვლივ ბევრი ლირსეული ადამიანია. როცა ასეთი გამოჩენდება, ვადამდელ არჩევნებსაც სიამოვნებით დავიშნავთ, ნესდებაში ცვლილებებს შევიტანთ ან, ბოლოს და ბოლოს, ჯანმრთელობის გაუარესებას მოვიმიზებებ. ხომ გესმის? ტექნიკურად მრავალი მეთოდი არსებობს ამისათვის, მაგრამ წასვლაც ლირსეული უნდა გამოგივიდეს კაცს და ლირსეულ-მაც უნდა შეგცვალოს. ნებისმიერი მსურველის ხელში კავშირის ჩაგდება არ იქნება. შესაძლოა, ოპონენტებმა იფიქრონ, მომავალ თავმჯდომარედ ისეთს ვეძებდე, ვინც რაღაც-რაღაცებს არ გამომიქექავს. აი, ახლაც, პროკურატურამ ორი სავსე ყუთი წაიღო, ბუჰალტერიის ყველა საბუთი 2004 წლიდან დღემდე, რაც უკვე მიკერძოებულ ძიებას ნიშნავს, რადგან მათ მხოლოდ ის 11 საკითხი უნდა შეესწავლათ, რაც სარევიზიო კომისიას ჰქონდა მითითებული. ეძებონ, არაფრის დამალვას არ ვაპირებ.

-მინდა გეითხო, ახლა თუ ჩანს ადამიანი, ვისაც შენ თავმჯდომარედ იგულვებდი?

-ცხადია, ჩანს, მაგრამ ვისურვებდი, რომ მჯობთა მჯობი იყოს, სასურველია ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული, რადგან იქ ნასწავლი უსინათლოთა პრობლემებს ზედმიწევნით იცნობს.

-თაობა კრებითი სახელია და მრავალ ადამიანს აერთიანებს.

ამიტომაც ძნელია კონკრეტული საუბარი მის დასახასიათებლად. ჩვენ ერთი თაობის წარმომადგენლები ვართ, ამიტომაც განსაკუთრებით მაინტერესებს შენი აზრი: რა ნაკლი აქვს და რა ღირსება ჩვენს თაობას?

-მართალი გითხრა, მაგაზე აქამდე არ მიფიქრია. ისე, ზოგადად, ჩვენს თაობაში არიან ღირსეულნიც და ულირსნიც. მაინც, ჩვენი თაობის მთავარ ღირსებად ზნეობრიობა მიმართინა. თაობის უმეტესობას ნორმალური, პატიოსანი, მეოჯახე ადამიანები შეადგენენ. ნაკლი? (ფიქრობს): -მაინც მგონია, რომ კარგი განათლება დაგვაკლდა, სტუდენტობა ვერ გამოვიყენეთ, რაც, ნანილობრივ, უსინათლოთა საზოგადოების მაშინდელი ხელმძღვანელობის ბრალი იყო; იმ დროს ჩვენს საზოგადოებას მიღიონები ჰქონდა, სტუდენტებისათვის კი ხუთ წელიწადში ერთხელ ბაბინებიანი მაგნიტოფონის ჩუქებით კმაყოფილდებოდა, არადა, შეეძლო ლენინგრადში უკვე დანერგილი „წასაკითხი მანქანების“ შეძენა. ის თანხა რომ მოგვცა, ჩვენს სტუდენტებს „ოქროს ხანას“ შევუქმნიდით. მაინც ყოველგვარი სიკეთე განათლებიდან მოდის.

-მიზეზი გულგრილობა იყო?

-ვფიქრობ, მიზეზი ის იყო, რომ უსინათლოთა საზოგადოებას უსინათლო, ანუ ჩვენს სკოლაში აღზრდილი, არც მართავდა. თავმჯდომარებად ინიშნებოდნენ პარტიული მუშაკები ჩანყობითა და ნაცნობ-მეგობრობით. პირველი რეალური არჩევნებით ბატონი გოგი ჭუმბურიძე მოვიდა სათავეში. ისე, კაცმა რომ თქვას, შემცილებელიც არავინ ჰყოლია. რატომდაც, ყველამ უკან დაიხია.

-მე თუ მკითხავ, ეგეც ლირსებად მიმართია, როცა ფიქრობ, ზომავ საკუთარ თავს, შეგიძლია თუ არა ესა თუ ის საქმე?

-როგორც ჩანს, ეგრეა, თორემ კარგი ბიჭები მაშინაც იყვნენ.

-ეგ არჩევნები რომელ წელს ჩატარდა?

-1992 წელს.

-შენ მაშინ...

-მე მაშინ 33 წლისა ვიყავი, საკმაოდ უფროსი ახლანდელ „მეომრებზე“.

-და თავმჯდომარებაზე არ გიფიქრია?

-გულშიაც არ გამივლია.

-მოდი, თანამდებობაზე საუბარს დავეხსნათ, მითხარი: გულის კაცი ხარ თუ გონებისა?

(ეღმება): -უფრო გონებისა, თუმცა გულსაც ხშირად ავყოლივარ.

-სიყვარულის განმარტება მრავალს უცდია. შენი აზრით, მაინც რა არის სიყვარული?

-რა არის სიყვარული? (ფიქრობს, იღიმება): არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ გულში იბადება. X კლასში უკვე შეევარებული ვიყავი, მისგანაც ამასვე ვგრძნობდი. III კურსზე



ვსწავლობდი, როცა ხელი ვთხოვე.

-დაქორწინებულთა უმეტესობა ხან ხუმრობით, ხან სერიოზულად, აშკარად თუ ფარულად ნანობს ხოლმე დაოჯახებას.

-მეც ვნანობ, მაგრამ დაოჯახებას კიარა, უმისოდ დაკარგულ ორ წელს. სკოლის დამთავრებისთანავე თუ არა, ერთი წლის შემდეგ მაინც უნდა შემერთო.

მიხარია, ძალიან მიხარია ამის მოსმენა, რადგან ცოტაა ჩვენში მტკიცე, მოყვარული ოჯახი. მაინც არ ვეშვები და ვეკითხები:

-მამაკაცთა უმეტესობას ქალი დაქორწინებამდე უფრო უყვარს, ვიდრე მისი სხეულის ყოველ ნაკვთს შეისწავლის, სულს შეიცნობს.

— ქალი ყოველთვის საინტერესოა, როცა ძალიან გიყვარს. თუ არ გიყვარს, მაშინ არის ამონურული, „შესწავლილი“, „შეცნობილი“, ნაიკითხე და მორჩა, უკვე ახალს ეძებ. ასაკის მომატებასთან ერთად სულ უფრო იზრდება სიყვარული ჩემს გულში, სულ უფრო ნათლად ვგრძნობ, რომ მის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. უმისოდ მხოლოდ არსებობა ერქმევა ჩემს ცხოვრებას, ბედნიერება მასთან ერთად ყოფნაშია. როცა გიყვარს, გამუდმებით ცდილობ მის გახარებას, სიამოვნებას გგვრის მისი თუნდაც ახირებული კაპრიზის შესრულება. მასთან კინკლაობაც კი, ჩხუბისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, სასიამოვნოა. ერთმანეთი გვიყვარს, მაგრამ ჩვენ შორის აზრთა სხვადასხვაობა სულ არის. კინკლაობა იმით მთავრდება, რომ ერთ-ერთი თმობს — ეს არის სიყვარულის ლირსება. (ეღიმება): აი, ახლაც, ვკინკლაობდით, რომელი გზით ამოვსულიყავით ზღვიდან, ტყით თუ კიბით? გუშინ კენჭი ვყარეთ და მან გაიმარჯვა

— ტყით ამოვედით. დღესაც ოთხჯერვე მას გაუმართლა, მაგრამ დამითმო და კიბეს ამოვუყვით.

— როცა რაიმე საგნის შეძენა გსურთ ოჯახში, ვისი აზრია გადამწყვეტი?

— საგნებს გააჩნია. თუ ტანსაცმლის ან ჭურჭლის ყიდვა გვინდა, მის გემოვნებას ვენდობი, მე ხეირიანად ფერსაც კი ვერ ვარჩევ; მაგრამ, როცა საყოფაცხოვრებო საქონელს ვარჩევთ (მაცივარს, შტეფსელს თუ პარკეტს), მაშინ ჩემი აზრია კომპეტენტური.

-ვიცი, დაუგეგმავი ვიზიტები არ გიყვარს, მაგრამ, ვთქვათ, მოულოდნელად მეგობრებმა დაგირექს და შენთან ერთად გართობა (ბუნებაში გასეირნება, სუფრა, ოპერაში წასვლა) შემოგთავაზეს, ამ დროს კი შენ საქმე გაქვს, რომელიც, როგორც იტყვიან, მოიცდის, არც ისე მნიშვნელოვანია, - როგორ მოიქცევი?

— თუ საქმე ითმენს, გადავდებდი, რა თქმა უნდა, მეგობრებთან წავალ.

— გამოდის, ადამიანური ურთიერთობები შენთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

— ყოველთვის. ახლაც, აქ, თქვენთან ერთად სიამოვნებით დავრჩებოდი კიდევ ერთ კვირას მაინც, მაგრამ ჰოლანდიელები ჩამოდიან. შეხვედრა ერთი წლით ადრე დაიგეგმა. ცხადია, თბილისში ჩვენგან ვიღაც დახვდება, მაგრამ მათ უკვე იციან, რომ შეხვედრას მე უნდა დავესწრო. თუ არ ჩავალ, რას იფიქრებენ ან ჩემზე, ან კავშირზე?

— სერიოზულ ადამიანებად ნამდვილად ვერ ჩაგვთვლიან, - მეღიმება: ამიტომაც, ვფიქრობ, აუცილებელია, ხელმძღვანელის არჩევისას გონივრული გადაწყვეტილების მიღება, რადგან ის, შეიძლება ითქვას, სახეა თავისი ორგანიზაციისა.

— თუ კადნიერებაში არ ჩამომერთმევა, მეტსაც გეტყვი: საზღვარგარეთ ყოფნისას არა მხოლოდ კავშირის, არამედ საქართველოს წარმომადგენლადაც ვთვლიდი თავს და ვცდილობდი, შეუფერებელი არაფერი მეთქვა და გამეცეთებინა.

— სპექტაკლებზე სიარული თუ გიყვარს?

— დავდივართ და ინიციატორი მუდამ ლუდმილაა. ძალიან მომწონს თავისუფალი თეატრის სპექტაკლები. აქ ფასიც ხელმისაწვდომია, 5-ლარიანი ბილეთით პირველ რიგში დაჯდომა შეგვიძლია, საიდანაც სცენაზე რაღაცას მაინც ვხედავ. ბოლოს მაისში ვიყავით, „5 დღე მსახიობის ცხოვრებიდან“ გადიოდა. ვერ წარმოიდგენ, როგორ მოგვეწონა თუ მოგიხერხდეს, აუცილებლად ნახე.

ისეთი ხალისით ალაპარაკდა, მეც გადმომედო, მაგრამ, როცა ჩემი საათებით დაშანთული თბილისური ყოფა გამახსენდა, ტკივილი ვიგრძენი. თურმე, მხოლოდ ბავშვობაში ვიყავი ბედნიერი და თავისუფალი.

წვიმა წამოვიდა: ხშირი, თბილი წვეთები ხის პატარა მაგიდებამდე აღწევდა. აივანზე უკმაყოფილო ხმები გაისმა, საღამოს ზღვაზე ჩასვლა ჩაიშალა. ჩემთვის კი აქ, აქ კი არა, არსად, ცუდი ამინდი არ არსებობს. წამოვდექი, თანამოსაუბრეს მადლობა გადავუხადე გულითადი საუბრისათვის.

„მოიცა, სად გეჩქარებაო?“. გამიხარდა: ჩანს, არც თავად დარჩა უკმაყოფილო, თუმცა თავიდან დიდი ხალისი არ ეტყობოდა. ის კი არა, „იქნებ, გადავდოთო, იქ, თბილისში ხომ არ აჯობებსო?“. მოდი, ვისაუბროთ და თუ მოგბეზრდა, აღარ მოგეძალებიმეთქი. რატომდაც, ყოველთვის მირჩევნია არაფიციალური შეხვედრები კაბინეტის, ჰალსტუხის, რეგალიების გარეშე.

წვიმს. მაინც ჩამოვდივარ კიბეზე და ევკალიპტებისკენ მიმავალ ბილიკს აუჩქარებლად მივუყვები. წვიმსო, - მომაძახეს გაკვირვებულმა დამსვენებლებმა. გამელიმა, თითქოს მე ვერ ვგრძნობ.

გზას განვაგრძობ, მის მონათხოვობს ვიხსენებ, მერე ფიქრით უურნალის მკითხველს ვეხმიანები, რომელსაც, ეგებ, ყავა სულაც არ უყვარს, თბილი განწყობილებით ნაწერ სტრიქონებს კი ოფიციალური ქრონიკები ურჩევნია.

შესაძლებლობა და არა უძლეური

**თამარ ბახტარე, ნანი ყავლაშილი (მედ. მეცნ. კანდიდატი),
ქათავან ნემსარე (მაღისტრის მეცნიერებათა დოკტორი,
მ. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული
კლინიკის დირექტორი)**

გამაზრის დასაწყისი №9, №10

აქსიომები

ეს აქსიომები შემუშავებულია ყველასათვის, ვისაც ურთიერთობა აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან.

- >მიუღები ინდივიდუალურად, ნუ განაზოგადებ;
- >აქცენტი გააკეთე შესაძლებლობებზე და არა უძლეურებაზე;
- >ნება მიეცი, გააკეთოს ეს თვითონ;
- >იყავი მომთმენი და ნუ აჩქარდები;
- >ერთად შეადგინეთ მომავალის გეგმები;
- >აღნიშნე წარმატებები და ისწავლე შეცდომებზე;
- >ფაქტებზე დაყრდნობით შეაფასე სწავლების პროცესი;
- >გაუმეორე და განამტკიცე;

მკურნალობა და რეაპილიტაცია

სადღეისოდ ტერმინი “სასტიკი მოპყრობა ბავშვთან” ღებულობს ფორმულირებას:

“აუცილებელი სამედიცინი დახმარების მიუწოდებლობა”. გონებრივი ან ფიზიკური განვითარების შეფერხების პერსპექტივა არ უნდა ახდენდეს გავლენას მკურნალობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე.

არ არსებობს ეთიკური განსხვავება სიცოცხლის უფლებაზე:

- ახალშობილსა და მოზრდილს შორის;
- დროულ და დღენაკლ ახალშობილს შორის;
- ჯანმრთელ და არასრულფასოვან ახალშობილს შორის.

მკურნალობის დაწყებამდე აუცილებელია ბავშვი შეფასდეს სპეციალისტთა გუნდის მიერ, რომელშიც შედიან ნევროლოგი, ფიზიკური თერაპევტი (სამკურნალო ფიზიკულტურის მეთოდისტი), ლოგოპედი (მეტყველების სპეციალისტი), ფსიქოლოგი, ორთოპედი, პედიატრი, ოკულისტი (თვალის ექიმი) და სხვა. ბავშვის გონებრივი შეფასებისა და კორექციისათვის საჭიროა პაციენტთან მუშაობდეს შესაბამისი გამოცდილების მქონე ფსიქოლოგი.

მკურნალობის მიზანი უნდა იყოს პაციენტის მოძრაობის უნარის, მეტყველების, გონებრივი განვითარების და სხვა დარღვევების გაუმჯობესება.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მშობლის

მომზადებას, ის უნდა გახდეს სარეაბილიტაციო გუნდის ყველაზე აქტიური წევრი. კარგად უნდა ერკვეოდეს ტერმინოლოგიაში, დაავადების არსში, ფლობდეს ფიზიკური თერაპიისა და მეტყველების გასაუმჯობესებელ ვარჯიშებს, საჭირო პოზებს, შეეძლოს ბავშვისათვის ადეკვატური ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა, რაც განაპირობებს სარეაბილიტაციო ღონისძიებების უწყვეტობას, ანუ მკურნალობის ბინაზე გაგრძელებას. მხოლოდ ასეთი მიდგომით გახდება შესაძლებელი პაციენტის ცხოვრების ხარისხის მაქსიმალური გაუმჯობესება.

გახსოვდეთ! აუცილებელია მკურნალობა დაინიუოთ დროულად და მკურნალობის პროცესი იყოს უწყვეტი, ამით თქვენ მიაღწევთ წარმატებულ შედეგს.

პავშვთა ასაკის უხშირესი დაავადებების გინაზე მართვის პრინციპები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებში ნებისმიერი ავადმყოფობა შესაძლოა გარკვეული გართულებებით წარიმართოს, ამიტომ ყველა შემთხვევაში საჭიროა მკურნალი ექიმის კონსულტაცია.

თუ ბავშვს აქვს ცხელება:

- მიეცით სითხეები ჩვეულებრივზე მეტი რაოდენობით;

• მიმართეთ ექიმს;

თუ ბავშვს აღენიშნება დიარეა: (დიარეა იწყება მაშინ, როდესაც დღეში სამჯერ და მეტად აღინიშნება ნაწლავთამოქმედება უხვი სითხის შემცველი განავლით).

• დაავადების დაწყებისთანავე მიეცით ბავშვს სითხეები ჩვეულებრივზე მეტი რაოდენობით – ჩვეულებრივი რაოდენობით დღეის რე (თუ ბავშვი ბუნებრივ კვებაზეა), სარეპიდრატაციო ხსნარები (ორალური სარეპიდრატაციო მარილი-RS), ჩვეულებრივი სასმელი წყალი, გაზგაშვებული მინერალური წყალი.

• ხშირად შესთავაზეთ ახლად მომზადებული საკვები, გააძლიერეთ კვება დაავადების შემდგომ პერიოდშიც.

• მიმართეთ ექიმს;

თუ თქვენს ბავშვს განუვითარდა გულყრა:

კატეგორიულად დაუშვებელია!

- ბავშვის უყურადღებოდ მიტოვება;
- ბავშვის „ნჯლრევა“, ფეხებით დაკიდება, წყლის შესხურება, თითის გაჭრა, „ენის დაჭრა“, გულის მასაჟი, ხელოვნური სუნთქვა პირიდან-პირში;

ეს ღონისძიებები შესაძლოა ბავშვის ტრავმატიზაციის მიზანზე გახდეს.

გულყრისას აუცილებელია!

- შეინარჩუნოთ სიმშვიდე;
- არ მოშორდეთ ბავშვს;
- დააწვინოთ ბავშვი ბრტყელ ზედაპირზე, თავ-ქვეშ ამოუდოთ რბილი ნივთი (თავის ტრამვის თავიდან ასაცილებლად) და თავი გადაუწიეთ გვერდზე (ამით თავიდან აიცილებთ ნერწყვის ან პირნალების მასის სასულეში გადაცდენას);
- გამოუძახეთ სასწრაფო დახმარებას.

საშიშროების ზოგადი ნიშნები რა დროსაც დაუყოვნებლივ უნდა მივმართოთ ექიმს

თუ თქვენი ბავშვი:

- ვერ წოვს ძუძუს ან ცუდად სვამს სითხეებს;
- აგზებულია ან მივარდნილია;
- მოიმატა ტემპერატურამ და არ ქვეითდება;
- ალინიშნება ხშირი ღებინება;
- განავალში მოიმატა წყლის შემცველობამ;
- განავალში აღინიშნება სისხლი;
- გაუძნელდა სუნთქვა (ხმაურიანი სუნთქვა);
- გაუხშირდა სუნთქვა (2-თვემდე 60 და მეტი; 2-თვიდან 1 წლამდე – 50 და მეტი; 1 წლის ზემოთ 40 და მეტი);
- აქვს ან ჰქონდა კრუნჩხვა ამ დაავადების პერიოდში;
- მკურნალობის მიუხედავად მდგომარეობა არ უმჯობესდება.

ჯანმრთელობის, დაავადების და ინვალიდობის ცნების სრულადური მნიშვნელობა

იგორ დოლიძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და
რეაბილიტაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს ჰუმანიტარული და
სახელმწიფო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი



„ჯანმრთელობის“ და „დაავადების“ ცნებების განმარტება მეცნიერებისათვის დამახასიათებელი სიმტკიცები. ე.ი. დაავადება დასაწყისში შეიძლება მიმდინარეობდეს ფარულად და ეს შეუმჩნეველი გახდეს როგორც ავადმყოფისათვის, ისე ექიმისათვის.

განმარტებას. ტერმინის საბოლოო განმარტებად შეიძლება მივიღოთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წესდების დებულება, სადაც ჯანმრთელობა განხილულია, როგორც ადამიანის ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობა. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ავადმყოფობის ზღვარზე აღმოჩნდება, დღეს, პრობლემურ საკითხს წარმოადგენს მსჯელობაორგანიზმის ჯანმრთელობის და დაავადების ირგვლივ, რადგან შეუძლებელია მათ შორის მკვეთრი საზღვრის გავლება. ცნობილია

რომ, ჯანსაღ ორგანიზმში შეიძლება ჩასახლდეს დაავადების გამომწვევი აგენტი და კლინიკურად არ გამოვლინდეს კონკრეტული დაავადებისათვის დამახასიათებელი სიმტკიცები. ე.ი. დაავადება დასაწყისში შეიძლება მიმდინარეობდეს ფარულად და ეს შეუმჩნეველი გახდეს როგორც ავადმყოფისათვის, ისე ექიმისათვის.

მაგალითისათვის, შეიძლება მოვიყვანოთ სპორტსმენის ფიზიკური დატვირთვის შესაძლო გართულებების წარმოშობა. ცნობილია, რომ პროფესიონალი სპორტსმენის ორგანიზმს აღენიშნება მაღალი კომპენსატორული შესაძლებლობები, მაგრამ დიდი ფიზიკური დატვირთვის პირობებში შესაძლებელია მისი ორგანიზმის რომელიმე ორგანოში განვითარდეს პათოლოგიური პროცესი, რომელიც შესაძლებელია მიმდინარეობდეს ფარულად და ის არ მოქმედდებს სპორტსმენის სუბიექტურ გუნება-განწყობაზე. მან შესაძლებელია მიაღწიოს მაღალ სპორტულ შედეგებს და საბოლოოდ კი მიიღოს მძიმე დაავადება ან ინვალიდობა.

ანტიკური ანდაზა გვახსენებს “mens sana in corpore sano” (ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია). ამასთან, პარადოქსების უდიდესი ოსტატი ბერნანდ

შოუ საპირისპიროს ამტკიცებდა. "ჯანმრთელ სხ- ეულში ჯანმრთელი სულია"- გამოთქმა თითქოს და უაზროდ გვეჩვენება, რადგან მის ნაცვლად უნდა გამოითქვას: "ჯანმრთელი სხეული არის ჯანმრთე- ლი სულის პროდუქტი". მიუხედავად იმისა, რომ ორივე მტკიცებულება ურთიერთსაპირისპიროა, წი- ნააღმდეგოპრივად არ გამოყურება, რადგან ორივე აზრი სარწმუნოა და ასახავს ერთსა და იგივეს სხე- ულისა და სულის ერთიანობის გაგებაში. უძველესი დროის ექიმებმა შეამჩნიეს ის, რომ ავადმყოფე- ბი, რომლებიც კარგავდნენ გამოჯანმრთელების იმედსა და მიმდინარე ცხოვრებისადმი ინტერესს, მათი დაავადების მიმდინარეობა ხშირად იღებდა კატასტროფულ ხასიათს. საპირისპიროდ, ხალისიანი და იმედიანი ავადმყოფი თავისი თავის რწმენით გაჯერებული, ზოგჯერ იმარჯვებდა დაავადებაზე. ის მეტად სასარგებლო აღმოჩნდ, ვიდრე მისთვის წამლის მიცემა. ვოლტერი თავის დროზე აღნიშ- ნავდა: "გამოჯანმრთელების იმედი – გაჯანსაღების ნახევარია. ადამიანის ჯანმრთელობა განხილული უნდა იყოს არა სტატიკურად, არამედ გარეთა გარე- მოს დინამიკურ ცვლილებებთან და ონტოგენეზ- თან (ონტოგენეზი-ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების პროცესი ჩასახვიდან სიკვდილამდე) კომპლექსში. ყურადსალებად უნდა ჩაითვალოს გამ- ონათქვამი, ჯანმრთელობა განაპირობებს ადაპტა- ციის პროცესს. "რომ ეს არ არის ინსტიქტის შედეგი, არამედ სოციალურად განპირობებულია რეალობის ავტონომიური და საზოგადოების კულტურიდან გამომდინარე რეაქციით. ის ცვალებად გარემოში განსაზღვრავს ადაპტაციის შესაძლებლობებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ორგანიზმის ასა- კობრივ ზრდას, ანელებს დაბერების პროცესს, ზრ- დის მკურნალობის ეფექტურობას კონკრეტული დაავადების პირობებში). უნდა გვახსოვდეს, გახან- გრძლივებული შრომისუნარიანი სიცოცხლე პრო- გრამულად დაკავშირებულია სამყაროს მუდმივო- ბის კანონთან, რაც შემდეგნაირად გამოიხატება: თუ ორგანიზმის სტაბილურობა-ორგანიზმის არსებო- ბის კანონია, მაშინ სტაბილურობის პროგრამული რლვევა-ორგანიზმის განვითარების კანონია". პრო- ფესორ ვ.დილმანი, რომელიც მიიჩნევს სიკვდილის დაპროგრამების აუცილებელ თეზისს, ამავე დროს ხაზს უსვამს სიკვდილის დროებითი აცილების შესა- ძლებლობებს. ეს კი არსებითად აფართოებს მიზან- მიმართულ შესაძლებლობებს, რომლებიც ანელებს დაბერების პროცესს, ხელს უწყობს დაავადების აცილებას და უფრო მეტად შორ მანძილზე გადაწევს შრომისუნარიანი სიცოცხლის საზღვრებს. ჯანმრთე- ლობა აქტუალურია ონტოგენეზის ყველა პერიოდში მაღალი შრომის უნარიანობის შესანარჩუნებლად და მოსალოდნელ სიკვდილის ზღვული ბარიერის გა- დასაწევად.

ა.ივანუშკინი "ჯანმრთელობას" და "დაავადებას" განიხილავს მეცნიერული თვალთახედვის პოზი- ციიდან, მათი ფასეულობების და შინაარსის გა-

ვალისწინებით. იგი გვთავაზობს ამ ფასეულობათა აღწერის სამ საფეხურს: 1.ბიოლოგიურს—საწყისი ჯანმრთელობა მოითხოვს ორგანიზმის თვითრეგუ- ლაციის სრულყოფას, ფიზიოლოგიური პროცესების მიმდინარეობის ჰარმონიას და როგორც შედეგი - ადაპტაციის მაქსიმუმის ჩამოყალიბებას. 2. სოცია- ლურს-ჯანმრთელობა არის სოციალური აქტივო- ბის საზომი, ადამიანის ინდივიდის სამყაროსადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება. 3. პიროვნულს (ფსიქოლოგიურს),— ჯანმრთელობა არის არა და- ვადების უქონლობა, არამედ, უფრო მეტად მისი უარყოფა, ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვის უნარიანობით (ჯანმრთელობა არა მხოლოდ ორგა- ნიზმის მდგომარეობაა, არამედ წარმოადგენს "ადა- მიანის სიცოცხლის სტრატეგიას).

ჯანმრთელობის მრავალი განსაზღვრის მიუხე- დავად, ინდივიდის ჯანმრთელობას ვ.კაზნაჩევი განიხილავს შემდეგნაირად:- "პოპულაციის ჯანმრ- თელობა არის მოსახლეობის რიგი თაობების ფსიქო- სოციალური და ბიოლოგიური ცხოველმოქმედების განვითარების სოციალურ-ისტორიული პროცესი, საზოგადოებრივი შრომისუნარიანობისა და ნაყო- ფიერების ზრდის, ადამინის ფსოქო-ფიზიოლო- გიური შესაძლებლობების სრულყოფის პროცესის შედეგი". ჯანმრთელობის ორიგინალურ განსაზ- ღვრას იძლევა ე.გოლდსმიტი: "ჯანმრთელობა— ორგანიზმის ისეთი მდგომარეობაა, რომელიც იძლევა გარკვეულ შესაძლებლობას შეინარჩუნოს ჯანმრთელობა", სადაც ხაზგასმულია ადამიანის აზროვნების როლი ჯანმრთელობის შენარჩუნება- ში, მას მოჰყავს მეტად ვრცელი განმარტება ჯანმრ- თელობაზე, როგორც ადამიანის ხანგრძლივი უნარი შეინარჩუნოს ქიმიური, ფიზიკური, ინფექციური, ფსიქოლოგიური ან სოციალური ზემოქმედების შედეგად ორგანიზმის პომეოსტაზი.

ი.ბრეხმანი ჯანმრთელობას განიხილავს პოზი- ციიდან: "ადამიანი ინფორმაციის ნაკადში", სადაც ადამიანმა ჯანმრთელობა ყოველ ასაკობრივ ჯგუფ- ში უნდა შეინარჩუნოს სენსორული, ვერბალური და სტრუქტურული ინფორმაციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მდგომარეობა ნებისმიერი პარამე- ტრების მკვეთრი ცვლილებების პირობებში.

თანამედროვე მედიცინა საკმაოდ მკაფიო საზ- ღვარს ავლებს ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას შორის. თუ არსებული საზღვარი ირლევა, მაშინ ყოველი ადამიანი, ხშირ შემთხვევაში, იმყოფება დაავადების განვითარების მხარეს. ამის დასტურია სამედიცინო პარაეტიკაში დამკვიდრებული ტერმინი "პრაქტიკულად ჯანმრთელი".

დაავადების სუფთა პათოლოგიური აბსოლუტიზ- მის წინააღმდეგ აზრი გამოთქმა კ.მარქესმა თავისი ცნობილი გამოთქმით; "დაავადება იგივე სიცოცხ- ლეა, მაგრამ შეზღუდული თავისუფლებაში". დაა- ვადება არ აუქმებს და არ უარყოფს ჯანმრთელო- ბას, ძალიან ხშირად ადგილი აქვს არა დაავადებას, არამედ ჯანმრთელობის ნაკლებობას.

ვ.დილმანი აღნიშნავს ნორმალური დაავადების არსებობას, რომელიც ორგანიზმში ვითარდება დაბერების მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესში და არა გარეთა მიზეზების და შემთხვევითი ფაქტორების შედეგად, მაშინ, როცა ირლვევა ორგანიზმის ფუნქციების მარეგულირებელი მექანიზმები.

ჯანმრთელობას კლასიკური მედიცინის მეცნიერთა ნაწილი განიხილავს, როგორც ადამიანის ფიზიკური სხეულის (ორგანოებისა და სისტემების სტრუქტურულ და ფუნქციურ) დაცულობად, ბუნებრივი და სოციალური გარემოს პირობებთან ორგანიზმის მაღალ ინდივიდუალურ შეგუებასთან, რათა საბოლოოდ შეინარჩუნოს მისთვის დამახასიათებელი შეგრძნებები, რომლებიც ყოველთვის წარმოადგენენ სოციალური და სულიერი კეთილდღეობის შენარჩუნების უფრო ფაქიზბარომეტრს.

ჯანმრთელობა ორგანიზმის ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც მისი სისტემებისა და ორგანოების ყველა ფიზიოლოგიური ფუნქციების ერთიანობა იმყოფება გარეთა გარემოს პირობებთან წონასწორობაში და არ ვლინდება დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნებით. მართლაცდა, ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის შეუძლია გადაიტანოს უმძიმესი ფსიქიკური და ფიზიკური დატვირთვები, გარეთა გარემოს ფაქტორების სერიოზული ცვლილებები და ამასთან, არ გამოიწვიოს ორგანიზმის წონასწორობის მდგომარეობიდან გამოყვანა.

ჯნმრთელობის ძირითად ნიშანს წარმოადგენს ორგანიზმის შიდა გარემოს მუდმივობის (პომეოსტაზის) შენარჩუნება, რომლის დროსაც ორგანიზმის დაცულია ნორმალური ტემპერატურა, სისხლის ქიმიური შემადგენლობა, არტერიული სისხლის უანგბადით გაჯერება და არტერიული წნევის დონე და ა.შ., რომლებიც ერთმომავნეობაში უზრუნველყოფს ორგანიზმის ოპტიმალურ ცხოველმოქმედებას.

ფ.მერსონი (1981) ჯანმრთელობას განიხილავს, როგორც ადაპტაციის პროცესს. ის აღნიშნავს: "ორგანიზმის მორფოფუნქციური მდგომარეობის მიღწევა შესაძლებელია იმ შესაბამისობის გათვალისწინებით, რასაც მისთვის ქმნის გარეთა პირობები".

ადამიანის ჯანმრთელობა, როგორც მისი ორგანიზმის თვითშენარჩუნების და თვითგანვითარების უნარიანობა, წარმოადგენს ფუნდამენტურ ბიოლოგიურ თვისებას, რომლის ორგანოები და სისტემები იმდენად უხილავად ფუნქციონირებენ, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ექიმის თვალით დროულად დაფიქსირდეს ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური პროცესები.

ჯანმრთელობასა და დაავადებას შორის არსებობს შუალედური მდგომარეობა, ე.ნ. "მესამე მდგომარეობა", რომლის დროს ადამიანი არც ჯანმრთელია და არც დაავადებული.

ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ფსიქიკური ფაქტორების ჯამური ერთმომავნეობა დამა-

ხასიათებელია თანამედროვე ცხოვრებისათვის, რაც იწვევს არამარტო სპეციფიური დაავადების (ე.ნ. ცივილიზაციის დაავადების) განვითარებას, არამედ, წარმოშობს ზოგადი სიმპტომების (ნევრასტინია, უმადობა, აგზნებადობა, თავის ტკივილი. კანის სიმშრალე და ა.შ.) აღმოცენებას, რომელიც დამახასიათებელია ე.ნ. "მესამე მდგომარეობისათვის".

მესამე მდგომარეობას მიეკუთვნება იმ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც რეგულარულად ღებულობს ალკოჰოლს, თამბაქოს, ტკივილგამაყუჩებლებს და ა.შ. ამავე ჯგუფს მიაკუთვნებენ ადამიანებს, რომლებიც იმყოფებიან დისინქრონოზის პირობებში (ლამის პროფესიით დაკავებული ადამიანები და პირები ტრანსმერიდიანული გადასვლებით) და პირებს, რომლებიც იმყოფებიან განსაკუთრებულ ფიზიოლოგიურ მდგომარეობაში (სქესობრივი მომნიდების პერიოდი, კლიმაქსი, მშობიარობისწინა და მშობიარობის შემდეგი პერიოდი, ხანდაზმულობა და ა.შ.).

მოხუცებულობის დროს განვითარებული უძლურება, როგორც აღნიშნავდა ი.დავიდოვსკი, მიანიშნებს ადამიანის ცხოველმოქმედების საერთო დაქვეითებაზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შემგუებლობითი უნარის დიაპაზონი არ იზომება, როგორც ალტერნატული ჯანმრთელობით, ასევე დაავადებით. "მათ შორის განთავსებულია შუალედური მთლიანი გამმა, რაც მიუთითებს შემგუებლობის განსაკუთრებულ ფორმაზე, ზოგჯერ ის ჯანმრთელობასთან ახლოსაა და ზოგჯერ კი დაავადებასთან".

ჯანმრთელობა, როგორც თვითშენარჩუნებისა და თვითგანვითარების განსაკუთრებული მდგომარეობა წარმოადგენს ყველა ცოცხალი არსების საფუძვლიან, ფუნდამენტურ თვისებას. აქედან გამომდინარე, მედიცინა, რომელიც ეყრდნობა მეცნიერებას ჯანმრთელობაზე (ვალეოლოგიაზე) განხილული უნდა იყოს, როგორც ცოდნის ყველაზე ფუნდამენტალური დარგი.

ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით საჭიროა შეიქმნას აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანის (ორივე სქესის და თანაბარი ასაკის) იდეალური ანატომიურ-ფიზიოლოგიური დახასიათება და ამ მოდელის შექმნის შემდეგ, დამუშავდეს რეაბილიტაციური ღონისძიებების კომპლექსური პროგრამა, რომელშიც ჩართული უნდა იყოს იდეალური ფიზიკური დატვირთვის პარამეტრები, ჯანსაღი კვების რაციონი, ორგანიზმის გაკაუჭება და ა.შ. ამ შემთხვევაში საუბარია არა საშუალო-სტანდარტულ განზომილებაზე, არამედ ინდივიდუალურ პარამეტრებზე, რომლებმაც სრულყოფილად უნდა ასახოს ჩვენი პროფესიული წარმოდგენები იდეალურ ჯანმრთელობაზე.



ზურაბ გურიანი დაიბადა 1952 წლის მაინდული გურიულიშვილის რაიონის სოფელ აჩარაში, რომელიც მდებარეობს კოდორის ხეობაში. მხადველობა რო მდინარე ასაძირ დამარმა 1965-1974 წლებში სრავლობდა თბილისის უსინათლო კავშირის საშუალო სკოლა-ინჟინერული უნივერსიტეტის „სინათლეს-თან“ თანამშრომლობას 1985 წლიდან კავშირის მსატ-ზრულ და კაბლიცისტურ ნაზარმობებს. ამუგად მღვარის სამართლებრივ უსინათლობის კავშირის გართა ფოლკლორულ ანსამბლ „არანისში“. კყავს მეუღლე, სამი შეიძი და სამი შპლიშვილი.

„ვარადა“

გოდება

მე ჩემი სოფლის წყარო მწყურია, —
დაჭრილ მხეცივით დავიარები,
შარშან რომ გულში მახვილი ჩამცეს,
დღესაც მაჩინა ხაიარევი!
მშობელი მიწის გამონაურით,
ვინ იცის, ახლა ვინ ავსებს კოკას?
ქართის კიდესთან დაყრილ ქვამარილს
ვისი ძროხა და ვისი ხბო ლოკავს?!
იმ კაკლის ჩრდილქვეშ რომ კოტრიალობს,
ვისი შვილია, ვის დაჰკარგვია?
სიდან მოსულა ოხერ-ტიალი?
რა ჯიშისაა, ანდა რა ჰქევია?
იმ მამისეულ ყანა-სათიბებს,
ალბათ, სხვა უვლის, სხვა ხნავს, სხვა თიბავს,
მამულ-დედულში მოსულ ჭირნახულს
გადამთიელი იმკის და ზიდავს!
ნაწვიმარ მოლზე ვინ დაბიჯებს?
ანწლიან ბილიკს ვინ თელავს უდვოთოდ?
„ძალა აღმართს ხნავს“, ჰაი, დედასა! —
უმწეობისგან უტირივარ უხმოდ.
მე ჩემი სოფლის წყარო მწყურია,
გამივსეთ დედის ნაქონი ტოლჩა,
უკანასკნელად მოვიკლავ წყურვილს,
მერე კი წავალ, წავალ და მორჩა!

„ოსარადა, ოსარადა,
ოსარადა ვარადა“,—
რა გვამლერებს, დიდი ჭირი
მოგვდგომია კარადა-
აფხაზური ლურჯი ზეცა
იბინდება შავადა,
ჩვენს მიწაზე უცხო თესლი
ფესვებს იდგამს მყარადა.
ვინც მესიად მიიჩნიეთ,
მოგიბრუნდათ ავადა,
მძიმე ჩექმით წაიბილნა
წეპელდა და აზანთა.
„ჩიკა-ჩიკას“ გასძახიან
ყველგან, მთად და ბარადა,
სანატრელი გაგხდომიათ
„ოსარადა ვარადა“.
ვინც მარადის გვერდით გედგათ
მახვილად და ფარადა,
„უფროსი ძმის“ წაქეზებით
გამოყარეთ შარადა.
განა ერთი მოდგმა არ ვართ
სულით, ხორცით, გვარადა?
განა ერთად არ გვტეიოდა
კრწანისი და მარაბდა?
უწინ ლხინიც ერთი გვქონდა,
ერთი ჭირი გვზარავდა,
არასოდეს გაგვიყვიდა
„ლილეო“ და „ვარადა“.
აფხაზური ლურჯი ზეცა
დაიბინდა შავადა,
ლვთის შეწევნით, ტანჯულ მამულს
ვუპატრონოთ თავადა.

* * *

იდუმალი ღამე —
თეთრად გატეხილი,
ბნელში გახვეული
ფიქრთა ქარტეხილი.
ქარის მოტანილი
სურნელება მინდვრის,
განთიადის ხმაზე
ღამე წყნარად მიდის.
სადღაც, გზის გადაღმა,
აყივლება მამლის,
მძიმე მოლოდინი
გაურკვეველ ხვალის.
ცაზე ვარსკვლავების
ბოლო გაპრწყინება,

მერე უეცარი
ჩუმი გაწვიმება.
წვიმის ფარდის მიღმა
გაყურსული ძილი,
ნისლში ჩაძირული
ზმანებები ტკბილი:
„უცხო ყვავილნარი,
ყვავილნარში — ქალი,
ჩემთვის დაკარგული
იმ ნალკოტის კვალი;
გაზაფხულით სავსე
მისი გაღიმება...
უსაშველო შიში,
შიში — გაღვიძების.

ნატვრა

ნეტავ იმ მანდილს, შენ რომ ატარებ,
შენ რომ ამშვენებ — არ გახუნდება,
ნეტავ იმ რაინდს, შენ რომ ისიზმრებ,
შენგან შებოჭილს ტრფობის ხუნდებით.
ნეტავ იმ ბგერებს, შენ რომ ამოთქვამ,
ცად განიბნევა ვერცხლის სიმებად,
ნეტავ იმ მინას, სადაც შენ დგახარ,
რაიც უფალმა შენად ინება.

ცირას — ციხისძირზე უზომოდ შეყვარებულს

წვიმით დაღლილან ხეივანში ევკალიპტები,
სველი მკლავებით ჩახვევიან უანგიან ცხაურს,
სევდით მოცული ატირებულ ცას აკვირდები,
ლეგა ღრუბლები ბანს აძლევენ ზღვის მლაშე ხმაურს.
წყნარი ნაბიჯით დაადგები ნაწვიმარ შუკას,
თბილი ნიავი თმასთან ერთად ფიქრსაც აგიშლის,
ევკალიპტები მოგტირიან, გიხმობენ უკან,
წუნკი ტურები წკავწკავებენ სადღაც ჯაგებში.
მსხვილ მარგალიტებს შავი კაბა უხვად აისხამს,
ბასრი მახვილი გაიელვებს ღამის უბეში,
მაინც ჯიუტად ჩაუყვები კიბის ხარიხებს,
გეიმედება, ზღვის ნაპირზე ჰპოვო ნუგეში.

P.S.


ეს ლექსი განა ჩემია,
ტყუილად დამიჩემია,
მე, აბა, რის დამწერი ვარ, —
ერთი უმწეო მწერი ვარ,
ზღვამ გიძლვნა გათენებისას,
მე მხოლოდ გადამწერი ვარ.



ერთსულოვნება

ამ სურათზე ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ადამიანის, რატი იონათამიშვილის ცხოვრების ერთი წამია ასახული. ამ ერთი “წამიდან” სიყვარული, რწმენა, იმედი, სულში წვდომა—მოკლედ რომ ვთქვათ, ერთსულოვნება გადმოდის და სახელიც “ერთსულოვნება” ვუწოდეთ.

უბარიცხო გარემო



სურათი N1


პანდუსი

პანდუსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის ერთ-ერთი ძირითადი დამხმარე საშუალებაა შენობაში შესასვლელად. ამიტომ, მის მოწყობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

პანდუსს უნდა გააჩნდეს მოაჯირი ორივე მხრიდან და ჰქონდეს 2 სახელური, რომელსაც ექნება 0.7 ან 0.9-მ. სიმაღლე. პანდუსის სახელურები აუცილებლად მოღუნული უნდა იყოს ქვემოთ და მისი სიგრძე უნდა აღემატებოდეს პანდუსის სიგრძეს არანაკლები 0.3 მეტრისა. მოაჯირი შემოლობილი უნდა იყოს მავთულბადით. სავალი ნაწილის საფარი შეირჩევა არსებული კლიმატური პირობების შესაბამისად. (გამოირიცხოს სრიალა, უსწორმასწორო ზედაპირი). სურ. 1

ხალხმრავალ ადგილებში, სადაც თავს იყრის დიდი რაოდენობით ავტოტრანსპორტი, პანდუსთან დაყენდეს ავტოტრანსპორტის გაჩერების აკრძალვის ნიშანი, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ბლოკირებულია მის გარშემო გაჩერებული მანქანებით და პანდუსით სარგებლობა შეუძლებელი ხდება.

კარები



ა. ერთფრთიანი კარები
ბ. ორფრთიანი შემინული კა-
რები

გ. კარის სახელურის რეკომენ-
დირებული განლაგება

დ. განლაგების რეკომენდირე-
ბული ზონები


1. კოდირებული საკეტი

2. ნომრიანი საკეტი

3. ზარის ღილაკი

სურათი N2


პირები



სურათი N3

ა კიბის რეკომენდირებული გადაწყვეტა
ბ კიბის ასასვლელის სახელურებიანი გადაწყვეტა
გ კიბის გამოსახულება გვერდიდან

სანიტარული კვანძის დაგემართვა



სურათი N4

ასანიტარული კვანძი
1. წინედი
2. გვერდხედი
3. გეგმა
ბ. ოთახის განლაგების ვარიანტი
1 პლანირების გეგმა
2 კაბინის საერთო განლაგება.

№2(2), თებერვალი, 2010



მაიკო, მე-10 საკარო
სკოლის მოსწავლე:

... „ნუ ჩაიკეტები, როცა
შეგიძლია თავისუფალი
ყუმ“...



ადაპტიური ფიზიკური აღზრდა რჯახის პირობები

გამოცემულია დასაწილი №4, №5, №6, №7, №10
2010 წ. №1(1)

თემურაზ მიქაელიშვილი

წინა ნომერში დავიწყეთ ფიზიკურ ვარჯიშების განხილვა ვარჯიშთა სახეობების და მათი ხასიათის ნიშანთვისებების მიხედვით. ვაგრძელებთ მის განხილვას.

პრენები

ბჯენები ეწოდება ისეთ ვარჯიშებს, რომლის შესრულების დროსაც მოვარჯიშე ზედა და ქვედა კიდურებით (ან მარტო ხელებით) ებჯინება სპორტულ იარაღს, საგანს ან იატაკს.

ბჯენები, როგორც კიდეები, იყოფა ორ ჯგუფად. შერეული (ზედა და ქვედა კიდურების გამოყენებით) და სუფა (მხოლოდ ხელების გამოყენებით) ბჯენი.

ადაპტიური ფიზიკური აღზრდის პროცესში უფრო ხშირად გამოიყენება შერეული ბჯენები. სუფთა ბჯენის (ხელებზე ბჯენის) დამახასიათებელი თვისებაა დიდი ფიზიკური დატვირთვა. ამის გამო ზოგიერთი ნოზოლოგიური ჯგუფისათვის პრაქტიკულად არ გამოიყენება. გარდა ამისა, სუფთა ბჯენის დროს (თავდაყირა მდგომარეობაში) ორგანიზმი მკვეთრად იცვლება ჰემოდინამიკა და წარმოებს სისხლის დიდი ოდენობით თავში მოყრა. რაც არასასურველს წარმოადგენს ზოგიერთი ადაპტანტისათვის.

აღნიშნული ვარჯიშები აუცილებელია მათვის, ვისთვისაც დროებით არ შეიძლება, ან ეძნელება ფეხზე დგომა და საჭიროებენ ხელების და მხრების კუნთების განვითარებას და გამაგრებას (მაგალითად — ქვედა ერთი ან ორივე კიდურების ამპუტაციის შედეგად წარმოქმნილი ტაკვის და ყავარჯნების ხმარების აუცილებლობის შემთხვევაში).

ფეხზე დგომა განვიხილოთ, როგორც ფეხებზე ბჯენი, მაგრამ რამდენადაც ფეხზე დგომა წარმოადგენს ადამიანის ძირითად მდგომარეობას და არა რაღაც განსაკუთრებულ ვარჯიშს, შესაძლებელია მისი განხილვა სუფთა ბჯენის ასპექტში ამოცანის ფორმალურად გადაწყვეტის დროს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადაპტიური ფიზიკური აღზრდის პროცესში უფრო ხშირად გამოიყენება შერეული ბჯენები. მათი შესრულება შეიძლება სხვადასხვა იარაღებზე და საგნებზე. ვარჯიშები ბჯენში, ისევე როგორც ვარჯიშები კიდში, შედარებით ადვილად სრულდება სტატიკურ მდგომარეობაში.

უნდა აღნიშნოს, რომ ბჯენები წარმოადგენს შედარებით უფრო ძნელ ვარჯიშებს, რომელთა სწორი შესრულებისათვის საჭიროა მუცლის და ზურგის კუნთების კოორდინირებული დაძაბვის უნარის გამომუშავება (არ დაუშვათ სხეულის სხვადასხვა მდგომარეობის მიღება, გაღუნვა, ჩაღუნვა,

გადახრა. ვეცადოთ სხეულის გამართულ მდგომარებაში დაჭრება).

შერეული ბჯენით ვარჯიშები შეიძლება შესრულდეს როგორც პირისახით ქვემოთ და პირისახით ზემოთ, ასევე გვერდით მდგომარეობაში.

განსაზღვრული მნიშვნელობა გააჩნია ტანვარჯიშული კედლის ძელზე ხელების ჩავლების სიმაღლეს. რაც უფრო დაბლაა ძელზე (მანაზე) ჩავლებული ხელები, მით უფრო ძნელია ვარჯიშის შესრულება და დიდია ორგანიზმზე დატვირთვა. ამრიგად, შედარებით უფრო ძნელი იქნება იატაკზე ბჯენითი ვარჯიშის შუსრულება, სადაც ქვედა და ზედა კიდურები განლაგებული იქნება ერთ ხაზზე. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ გართულებული ბჯენითი ვარჯიშები ტარდება მხოლოდ ექიმის რეკომენდაციის საფუძველზე.

ადაპტიური ფიზიკური აღზრდის პროცესში უფრო მიღებულია სახით ქვემოთ შერეული ბჯენითი ვარჯიშების გამოყენება. ვარჯიშები აღნიშნულ მდგომარეობაში შეიძლება გავართულოთ ხელების, ფეხების და ტანის დაძატებითი მოძრაობებით. ეს მოძრაობები ანალოგიურია იმ მოძრაობებისა, რომლებიც გამოიყენება შერეული კიდების დროს. მაგალითად, ფეხმლით ფეხის თითებზე ბჯენი, ცალი ფეხის თითებზე ბჯენი მეორე ფეხის ზეფეხით და ა.შ. ასევე ბჯენითი ვარჯიშების გართულება შეიძლება სხვადასხვა მდგომარეობაში ზედა კიდურების განლაგებით.

სახით ზემოთ მდგომარეობაში შერეული ბჯენები დიდი ფიზიკური დატვირთვის და მათი მოუხერხებელი შესრულების გამო ძალზე იშვიათად გამოიყენება, მაგრამ, როგორც დამოუკიდებელი ვარჯიში ხშირად გამოიყენება მუცელზე წოლითი მდგომარეობიდან ზურგზე წოლით მდგომარეობაში გადასვლის და გამართული ფეხებით შერეული ბჯენის დროს.

გვერდზე ბჯენები, როდესაც სხეულის მასის სიმძიმე გადასულია ერთ ხელზე, ზოგიერთი წო-



ზოლოგიური ჯგუფისათვის წარმოადგენს ძნელად შესასრულებელ ვარჯიშს და ამის გამო, ზოგიერთი შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნეს წოლითი საწყისი მდგომარეობიდან ერთი გვერდიდან მეორე გვერდზე გადასვლის დროს (მაგ. სახით ქვემოთ მდგომარეობაში).

ცოცვები და ასვლები

ადაპტიური ფიზიკური აღზრდის პროცესში ცოცვები და ასვლები გამოიყენება მთელი სხეულის გადასაადგილებლად ვერტიკალურ (ბაგირზე, ტანგარჯიშულ კედელზე) და ჰორიზონტალურ (დახრილ კიბეზე) მდგომარეობაში. ცოცვების

დროს გამოიყენება მხოლოდ ხელები (მხრების სახსრების მოძრაობითი უნარის გაზრდისათვის) სხვადასხვა ფიზიკური დატვირთვის გამოყენებით. ამ ვარჯიშების მიზანია სპეციალური ზემოქმედება ზედა და ქვედა კიდურების დაკარგული ფუნქციების აღსაადგენად. ისინი შეძლება განვიხილოთ აგრეთვე, როგორც ცოცვისა და ასვლებისათვის მოსამზადებელი ვარჯიშები.

ცოცვები წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ვარჯიშებს, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი ფიზიკური დატვირთვა. ამ დროს, მოვარჯიშეს უხდება საკუთარი სხეულის მთელი სიმძიმის სიმაღლეზე აზიდვა და აქედან გამომდინარე, მოითხოვს გარკვეული ძალის გამოყენებას გარკვეული წინააღმდეგობის დასაძლევად. ამ სახის ვარჯიშების შესრულება წარმოებს სხვადასხვა მეთოდით, ზედა და ქვედა კიდურების ფუნქციების შეთანხმებული ურთიერთმოქმედების საფუძველზე. მაგალითად:

1. კიბეზე ასვლის დროს, ხელებისა და ფეხების მოძრაობა შერწყმულია ერთნაირ მოქმედებებთან. მარჯვენა ხელი და მარცხენა ფეხი ერთდროულად ეყრდნობა კიბის სხვადასხვა საფეხურზე. ხოლო შემდეგი მოძრაობის დროს ამავე მოქმედებას აკეთებს მარცხენა ხელი და მარჯვენა ფეხი;
2. ჩვეულებრივი სიარულის მსგავსად ხელები და ფეხები გადაადგილდებიან მორიგეობით ყველა ძელაკზე (ტანგარჯიშულ კიბეზე). ამრიგად, ყველა ეს ხერხი შეიძლება შეერწყას ერთმანეთს და მივიღებთ

ვარჯიშის სხვადასხვა კომბინაციას. საერთოდ, ცოცვები და ასვლები კოორდინაციული მოძრაობის შესრულების თვალსაზრისით, წარმოადგენს რთულ ვარჯიშებს.

განსაკუთრებით რთულია ვერტიკალურ თოკზე ცოცვები. ამ შემთხვევაში, ცოცვა სრულდება ზედა და ქვედა კიდურების შეთანხმებული მოძრაობების გამოყენებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სხეულის მთელი სიმძიმის გადატანა უხდება ზედა კიდურებს. ამიტომ, ამ დროს ხდება გულსისხლარღვთა სისტემაზე დიდი ფიზიკური დატვირთვა, რაც მიუღებელია ზოგიერთი ნოზოლოგიური ჯგუფისათვის. ამ ვარჯიშის გამოყენების დროს, საჭიროა გამოვიჩინოთ სიფრთხილე და გავიაროთ ექიმის კონსულტაცია.

ტანგარჯიშულ კედელზე ცოცვების და ასვლების ჩატარების დროს, აუცილებელია ყურადღება მიეკცეს კიბის ძელაკზე ხელების ძლიერ ჩავლებას (4 თითი ზემოდან, ხოლო ცერი თითი ქვემოდან). გასათვალისწინებელია ისიც, რომ მრგვალი ძელაკი ამცირებს ფეხების ყრდნობის მდგომარეობას, ამიტომ მეცადინეობის დროს აუცილებელად უნდა უზრუნველყოთ მოვარჯიშეთა დაზღვევა.

ტყორცნები

ტყორცნები წარმოადგენს ისეთ ვარჯიშებს, რომლის დროსაც წარმოებს რომელიმე საგნის გაგზავნა (ტყორცნა) რაიმე მიზნისაკენ, ან სიშორეზე (მანძილზე). ადაპტიური ფიზიკური აღზრდის პროცესში უფრო ხშირად გამოიყენება მცირე გასაბერი ბურთები, ტენის ბურთები, და სხვა მსუბუქი ან დამძიმებული საგნები.

ტყორცნითი ვარჯიშები შეიძლება შესრულდეს, როგორც დინამიკურ, ასევე სტატიკურ მდგომარეობაში ერთი ან ორი ხელით. ტყორცნის ფორმებია — ქვემოდან, მკერდიდან, თავს ზემოდან, მოქნევით და ა.შ.

მიზანში ტყორცნის დროს უფრო ხშირად გამოი-



ყენება მცირე ზომის ბურთები. ტყორცნის მიზნად შეიძლება გამოვიყენოთ კვადრატი ან წრე 50-60 სმ დიამეტრით. კვადრატულ მიზანში ტყორცნის დროს ინტერესის გაზრდის მიზნით ჩაიხატება 4 ერთმანეთში ჩამჯდარი წრე. ყველაზე მცირე წრე იმყოფება ცენტრში (რომელსაც ენოდება ვაშლი) და იღებება შავი ფერით. მასზე მოხვედრა ფასდება 5 ქულით. მომდევნო წრეში მოხვედრა 4 ქულით და ა.შ.

პირველ ხანებში მოსწავლე უნდა დავაყენოთ მიზანთან იმ მანძილზე, რომ მან ადვილად შესძლოს მიზანში მოხვედრა (4-5ტ). შემდეგ მეცადინეობებზე კი მიზნამდე მანძილს თანდათანობით ვზრდით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიზნის ხშირი აცილების შემდეგ გამეორებული ტყორცნები მნიშვნელოვნად ამცირებს მოსწავლეთა ინტერესს აღნიშნული ვარჯიშის მიმართ. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ვარჯიშებს, რომლებიც საჭიროებენ დიდ სიზუსტეს. ამიტომ, დიდი სიზუსტით ტყორცნის ვარჯიშები გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ მიზნობრივად.

მიზანი კედელზე ისე უნდა ჩამოიკიდოს, რომ მისი ცენტრი (შავი შეღებილი ნაწილი) მდებარეობდეს დაახლოებით მოვარჯიშის თვალების სიმაღლეზე.

ტყორცნის ადგილიდან იატაკზე გავავლოთ ცარცით ხაზი, რომლის იქით, ტყორდნის დროს ფეხის გადადგმა შეცდომად ჩაითვლება. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება შემოვხაზოთ ერთი მეტრის დიამეტრის წრე, საიდანაც შესრულდება ტყორცნები, მხოლოდ იმ პირობით, რომ ვარჯიშის შესრულების დროს მოვარჯიშე არ გადააბიჯებს აღნიშნულ წრეს.

გარკვეულ მანძილზე ტყორცნა ხორციელდება როგორც ერთი, ასევე ორი ხელით. ფეხზე დგომი უნდა იყოს მოხერხებული და გამოვიყენოთ რაც შეიძლება დიდი საყრდენი ფართი. მაგალითად, თავსზე-მოდან ტყორდნის დროს ვიყენებთ ფეხშლით დგომის. ერთი ხელით გვერდიდან ტყორცნის დროს-ერთ ნინნანეულ ფეხს. ერთ ფეხზე დგომში ტყორცნები გამოიყენება ვესტიბულარული სისტემის განვითარებისათვის.

ტყორცნები ანვითარებენ ისეთ უნარჩვევებს, როგორიცაა წონასწორობის გრძნობა, სივრცეში და დროში საგნის გადაადგილების შეგრძნება, თვალით მანძილის გაზომვა, საგნის სივრცეში ფრენის ტრაექტორიის განსაზღვრა. ამასთან ერთად ანვითარებს მცირე მოტორიკას, ზურგისა და მხრის კუნთებს.

გამოიყენეთ უნარების მიზნით დაგენერირეთ მიზნების მიზნობრივი მოვარჯიშის სიმაღლეზე.

ფსიქიატრი ჯავახილია ყველასთვის!

2009 წლის 15 დეკემბერს, ქუთაისში, სახალხო დამცველის ოფისში, პროექტის „ფსიქიკურ პრობლემებთან დაკავშრებულ სტიგმასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლა“ ფარგლებში გაიმართა სტუდია „მონიტორის“ მიერ გადაღებული ფილმის „დაინახე ჩემში ადამიანი“ ჩვენება და დისკუსია.

პროექტი მიზნად ისახავდა საზოგადოების ყურადღება მიეპყრო ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანთა მდგომარეობას და მათ მიმართ დამოკიდებულებას საქართველოში. „ყველა ადამიანი თავისუფალი და თანაბარია თავისი უფლებებითა და ღირსებით“ – ადამიანის უფლებების ეს ძირითადი თეზა ხშირად ირღვევა საზოგადოებაში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა სოციალური იზოლაციითა და დისკრიმინაციით. ამ ადამიანებს აქვთ ღირსეულად ცხოვრების უფლება და ამის უნარიც შესწევთ, თუ მათ მიმართ ადეკვატური დამოკიდებულება ჩამოყალიბდება. აქციის მიზანი იყო კიდევ ერთხელ შეეხსენებინა საზოგადოებისათვის, რომ დროა შევიცვალოთ დამოკიდებულება და მივი-

ღოთ ჩვენგან განსხვავებული ადამიანები ისეთნი, როგორიცაა არიან!

დისკუსიაზე ასევე წარმოდგენილი იყო ამავე პროექტის ფარგლებში გამოცემული ბროშურა „მივიღოთ განსხვავებული!“, რომელიც ფართო საზოგადოებისთვისაა განკუთვნილი და ადვილად გასაგებად გვიხსინის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია თითოეულ ჩვენგანს ამ ადამიანების გამოჯანმრთელებაში. გვიხსინის, რა არის ფსიქიკური ჯანმრთელობა – რომეს ბევრად მეტია, ვიდრე ფსიქიკური აშლილობის არქონა და რომ არ არსებობს ჯანმრთელობა ფსიქიკური ჯანმრთელობის გარეშე; რა ზიანი მოაქვს სტიგმას და დისკრიმინაციას; რა უფლებები აქვთ ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებს და სხვა. ასევე მოყვანილია საზოგადოებაში გაბატონებული მითები და სინამდვილე.

ღონისძიებისორგანიზაციორები იყვნენ ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში — თბილისი“, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი და შპს ქუთაისის ივ. სხირტლაძის სახ. სარაიონთა შორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი. პროექტს მხარი დაუჭირა ევროკავშირმა.



პლიტონიშვილის მიზანის შეზღუდვა



ჩვენს დედაქალაქში ზეიმით ალინიშნა ქრისტესშობის დღესასა-ნაული. ამასთან დაკავშირებით პარლამენტის სასახლის წინ უკვე ტრადიციად ქცეულ საშობაო ალილოს მსვლელობას პარლამენტის თავმჯდომარე ოჯახთან და პარლამენტის წევრებთან ერთად შეეგება. დავით ბაქრაძემ სრულიად საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი ქრისტიანული დღესასანაული – ქრისტესშობა მიულოცა. მან საქართველოს და ამ ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ოჯახს მშვიდობა, კეთილდღეობა და ბედნიერება უსურვა.

სოციალური დაცვის ახალი გარანტიები რმის ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახის ცეკვებისათვის

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების დროს დაინვალიდებული პირებისთვის და დაღუპულთა ოჯახის წევრებისთვის 2010 წლის ბიუჯეტში პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი ნერეთლისა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ოთარ თოიძის ინიციატივით მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. მკეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სახელმწიფო პენსიას მიიღებენ 129 ლარის ოდენობით, ნაცვლად 84 ლარისა, ხოლო ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები - 80 ლარის ოდენობით, ნაცვლად 70 ლარისა. "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" ახალი კანონის საფუძველზე მშობელს, რომელსაც კონფლიქტურ ზონაში დაეღუპა ორი ან მეტი შვილი, თითოეულ გარდაცვლილ შვილზე მიეცემა სახელმწიფო დახმარება, ხოლო მარტოხელა შრომისუნარო მშობელი ან მეუღლე პენსიასთან ერთად დამატებით მიღებს სახელმწიფო დახმარებას პენსიის ან კომპენსაციის ოდენობით.

კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, გაფართოვდა იმ პირთა წრეც, რომლის მიმართაც იგი ვრცელდება. ამ წრეს დაემატა აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ოჯახები, რომელთა სოციალური დაცვა კანონმდებლობით დღემდე არ იყო დარეგულირებული.

"კანონპროექტის მიღების მიზეზი სწორედ ის გახლდათ, რომ გარე აგრესის შედეგად კონფლიქტის ზონის გაფართოებისა და დაზარალებულთა რაოდენობის გაზრდის გამო არსებულ

კანონში ახალი რეალობა ასახულიყო", - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ, ოთარ თოიძემ.

კანონში შეტანილი ცვლილებები ვიცე-სპიკერის, გიორგი ნერეთლისა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ხანგრძლივი მუშაობის შედეგია.

"ჩვენი ინიციატივით პენსია უნდა მისცემოდათ ომში დაღუპულთა შრომისუნარიან მშობლებსაც და მეუღლებსაც. თუმცა ეს არ იქნა გაზიარებული მთავრობის მიერ და დარჩა ძალაში ჩანაწერი შრომისუნარი შესახებ", - განმარტა გიორგი ნერეთელმა. მისივე თქმით, ეს საკმაოდ სერიოზულ ხარჯებთანაა დაკავშირებული და მთავრობამ საკუთარი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად და აღრიცხვიანობის სისტემის დასახვენად გარკვეული დრო ითხოვა.

დაღუპულთა ოჯახების საკეთილდღეოდ მთავრობასთან კომიტეტმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან შეთანხმებას მიაღწია. კერძოდ, დაღუპულთა შვილებს 22 წლის ასაკის მიღწევამდე სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურს გადაუხდის. გიორგი ნერეთლის განცხადებით, ეს ის ასაკია, როცა ახალგაზრდა გარკვეულ პროფესიას იძენს, სამსახურს იწყებს და მას უკვე საკუთარი თავის უზრუნველყოფა შეუძლია.





ბიბლიოთეკა - კულტურული ცენტრი
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის

პროექტის ფარგლებში. 2001 წლის 15 თებერვლიდან იგი რეგისტრირებულია როგორც არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია

ორგანიზაცია თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

- კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მოზარდებისათვის;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ჩართვის ხელშეწყობა;
- ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის;
- ინკლუზიური განათლების პოპულარიზაცია;
- ჰუმანიტარული აქციების განხორციელება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა;

გაქვთ რაიმე კითხვა ან გსურთ მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები, დაუკავშირდით: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. № 68. ბიბლიოთეკა-კულტურული ცენტრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის "თანადგომა"

ტელ: + (995 32) 96 74 62; + (995 32) 96 11 39 ელ.ფოსტა:
acacia@ip.osgf.ge; isharikadze@yahoo.com; nana9872001@yahoo.com

პირდღითა კის მისია

"დაძლიოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური გაუცხოება და ხელი შეუწყოს მათ საზოგადოებაში ინტეგრირებას"

ბიბლიოთეკა "თანადგომა" დაარსდა 1999 წელს, ფონდ "ღია საზოგადოება საქართველო"-ს მიერ დაფინანსებული



6 მილიონი ევრო ევროპარლამენტისაგან

მიხეილ მიძიაშვილი



შეჯამდა ქვეყნის 2009 წლის სპორტული მონაგარი. ბუნებრივია დაჯილდოვდნენ წლის საუკეთესო სპორტსმენები, წარმატებული სპორტული ფედერაციები და გამოვლინდნენ ლაურეატები. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ყოველთვის, არავის გახსენებია არა მარტო ინვალიდი სპორტსმენები, არამედ საინვალიდო სპორტიც. რა თქმა უნდა არ გახსენდებოდათ, რადგან, ასეთი რამ საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს. მსოფლიოში კი, როგორც იტყვიან, ამ მიმართულებით ბუმია. ამის დასტურად მოვიყვანთ ერთ ძალზე მნიშვნელოვან ფაქტს, რომელიც შეიძლება მაგალითად გამოგვადგეს, ვინაიდან საქართველო ევროკავშირისაკენ მიიღების და რა თქმა უნდა, ამის გათვალისწინება აუცილებლად

მოგვიწევს..

ევროპის პარლამენტმა დააფინანსა 2010 წლის ზაფხულის (ვარშავა) ევროპისა და 2011 წლის ზაფხულის (ათენი) საერთაშორისო სპეციალური ოლიმპიური თამაშები.

ევროპა-ევრაზიის სპეციალურმა ოლიმპიურმა მოძრაობამ მიიღო მნიშვნელოვანი იმპულსი მისი მიზნების განხორციელებისათვის, რომელიც ცდილობს გონიერივი ჩამორჩენილობის მქონე ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ადაპტიური სპორტის საშუალებით. ევროპა-ევრაზიის სპეციალური ოლიმპიადა ევროპის კავშირის საერთო ბიუჯეტიდან 2010 და 2011 წელს მიიღებს დაფინანსებას 6 მილიონ ევროს (8.55 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი). ესოდენ შესანიშვავი მხარდაჭერა სპეციალური ოლიმპიური პროგრამის განვითარებისათვის ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის კეთილი ნებაა.

ევროპა—ევრაზიის სპეციალური ოლიმპიადის

№ 1(12), თებერვალი, 2010

დირექტორთა საბჭოს თავჯდო-
მარემ, მარი დევისმა განაცხადა,
რომ — “ჩვენ ძალიან გაგვახარა
ევროპის კომისიის მიერ ასეთმა სა-
სიცოცხლო მნიშვნელობის ფინან-
სურმა მხარდაჭერამ. ეს მხარ-
დაჭერა საშუალებას მოგვცემს
გავაფართოვოთ და ამ მოძრაო-
ბაში ჩავაბათ უფრო მეტი ადამი-
ანი მთელს ევროპაში. შევცვალოთ
ინვალიდობის მიმართ საზოგადოე-
ბაში ჯერ კიდევ არსებული ნეგატი-
ურიდამოკიდებულებები, გავაფარ-
თოვოთ საერთაშორისო კავშირები

სპეციალური ოლიმპიური მოძრაობის საშუალებით
და ხელი შევუწყოთ მშეიდობისა და თანამშრომლო-
ბის განვითარებას მთელს მსოფლიოში.

მე ვთვლი, რომ ჩვენ ვდგავართ ევროპული სპორ-
ტის განვითარების ახალ ეტაპზე. ევროპავშირი
ამით აღიარებს ადაპტიური სპორტის დიდ მნიშ-
ვნელობას განათლების, კულტურის, რეაბილიტა-
ციის, სოციალური ინტე-
გრაციისა და საზოგადოების
ჯანმრთელობის განმტკიცების
საქმეში”.

ევროპარლამენტის წევრ-
მა, სიდონია ელზბიეტა ლეზე-
ლევსკამ განაცხადა — “მე
გახარებული ვარ ევროპარ-
ლამენტის გადაწყვეტილებით.
ამით მან ოფიციალურად აღი-
არა სპეციალური ოლიმპიადის
მხარდაჭერის აუცილებლობა.
ვიმედოვნებ, რომ ევროპარლა-
მენტისეს გადაწყვეტილება დიდ
სტიმულს მისცემს სპეციალური
ოლიმპიური მოძრაობის განვითარებას ევროპაში.
სპეციალური ოლიმპიადა გონიერი ჩამორჩენი-
ლობის მქონე ადამიანებს აძლევს უდიდეს შესაძლე-
ბლობებს, რითაც ჩვენ აუცილებლად უნდა ვისარგე-
ბლოთ და ჩავაბათ რაც შეიძლება მეტი ადამიანი ამ
მოძრაობაში”.

საბერძნეთის სპეციალური ოლიმპიური კომიტე-
ტის წარმომადგენელმა გეორგიოს სტავრაკაკისმა
თქვა — “დარწმუნებული ვარ, რომ ევროპარლამენ-
ტის გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს სპეციალური



ოლიმპიური მოძრაობის გან-
ვითარებას ევროპაში და იმ
სტერეოტიპების ნგრევას, რაც
ჯერ კიდევ არსებობს ჩვენს
საზოგადოებაში. სპეციალურ
ოლიმპიურ მოძრაობას აუცი-
ლებლად სჭირდება ჩვენი დახ-
მარება და მხარდაჭერა, მით
უმეტეს ახლა, როდესა 2010
წელს ვარშავაში და 2011 წელს
ათენში ტარდება ძალზე მნიშ-
ვნელოვანის სპეციალური მიმ-
პიური თამაშები”.



ევროპა-ევრაზიის სპეციალურ ილიმპიურ მოძ-
რაობაში გაერთიანებულია ევროპისა და ცენტრა-
ლური აზიის 58 ქვეყანა (მათ შორის საქართველოც).
ამ მოძრაობაში ჩართულია ნახევარი მილიონი
ადამიანი, რომლებიც წვრთნისა და შერჯიბრე-
ბების საშუალებით იმტკიცებენ ჯანმრთელობას და
იმაღლებენ თავიანთ სპორტულ ოსტატობას. მათი
ღირსებისა და შესაძლებ-
ლობების წარმოჩენისათვის
2010 წელს ტარდება ევრო-
პის სპეციალური ოლიმპიუ-
რი თამაშები, რომელიც
გაიმართება პოლონეთის
დედაქალაქ ვარშავაში 24
სექტემბრიდან 3 ოქტომ-
ბრამდე და მონაწილეობას
მიიღებს 1600 სპორტსმენი
სპორტის 28 სახეობაში.
ხოლო 2011 წლის 24 ივნი-
სიდან 4 ივლისამდე, ათენში
ჩატარდება საერთაშორისო
სპეციალური ოლიმპიური

თამაშები, სადაც მონაწილეობას მიიღებს მსოფ-
ლიოს 180 ქვეყნის 7000 სპორტსმენი, 3000 მწვთნე-
ლი და პასუხისმგებელი პირი, 25 000 ვალანტიორი
(ნებაყოფლობითი დამხმარე) 40 000 ოჯახის წევრი
და ათასობით მაყურებელი, რომლებიც იზეიმებენ
სპორტსმენთა წარმატებებს.

საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კო-
მიტეტი იმედოვნებს, რომ საქართველოს პარლამენ-
ტი და მთავრობა, ევროპის პარლამენტის მსგავსად,
ყოველმხრივ პირობებს შეუქმნის საქართველოს
სპეციოლიმპიელებს აღნიშნულ თამაშებში ჩვენი
ქვეყნის ღირსეული წარმოჩენისათვის, მით უმეტეს,
ეს ძალზე მცირე ხარჯებთან არის დაკავშირებუ-
ლი. დასაფინანსებელია მხოლოდ გზის ხარჯები
(თბილისი-ვარშავა-თბილისი) და ეკიპირება. დან-
არჩენს (სასტუმრო, კვება, სამედიცინო მოსახურე-
ბა, ადგილზე ტრანსპორტით მომსახურება და ა.შ.)
მასპინძელი მხარე იღებს თავის თავზე.

ინფორმაციის სრულად მოძიება შესაძლებე-
ლია ამ მისამართზე: http://www.specialolympics.org/european_parliament_votes_to_provide_special_olympics_europe-eurasia_with_six_million_euro.



უდია ირმაზუნო, რომ გაიმარჯვო, ანუ 60 ვარჯიში სიცოცხლისათვის

ბაბრძელება, დასაცემი №1 (11) 2010 წ.

ი.კუზნეცოვი

15 წლის იყო, როდესაც თავის პირველი ნომერი შეასრულა და გახდა ცირკის საპარტო აკრობატი, მაგრამ ბედი განსაცდელს უმზადებდა. სადღე-სასწაულო კონცერტის დროს, კაუნასის სპორტის სასახლეში, 13 მეტრის სიმაღლეზე ასრულებდა თავის “საპარტო” ნომერი. არაფერი მიანიშნებდა უძედურებას. თითქოს ყველაფერი თავის რიგზე იყო. მიმდინარეობდა ჩვეულებრივი წარმოდგენა, იყო მაყურებელი, ტაში... და უეცრად გატყდა შტამ-ბერტი—ფოლადის ლერძი, რომელზედაც დამაგრებული იყო აპარატურა და დაზღვევის მოწყობილობა. იგი ჩაბმული იყო აპარატზე და მასთან ერთად დაენარცხა ცირკის იატაკზე ისე, რომ ვერ მოასწრო რა-მის გააზრება.

დიაგნოზი განაჩენს ჰემიალი — ხერხემლის კომ-პრესიული მოტეხილობა, ქალა-ტვინის ძლიერი ტრავმა და სხეულის სხვადასხვა ადგილზე ათი ლო-კალური მოტეხილობა. დიკულმა ერთი კვირა დაჰყო ქალაქის კლინიკური საავადმყოფოს რეამინაციის განყოფილებაში სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე. მაშინ, ჯერ კიდევ ყმანვილს, არ შეეძლო მთელი სისრულით აღექვა თავს დამტყდარი ტრაგედიის სიმძიმე. შემდეგ კი, იყო ნეიროქირურგიული გან-ყოფილების პალატა. ოთხი თვე დასჭირდა გონიერობის და გაერკვია, რომ ნელს ქვემოთ ის თავის სხეულს ვერ გრძნობდა. როდესაც დაინახა მედდა როგორ გადაადგილებდა მის ფეხებს, ყველაფერს მიხვდა და ატირდა. შემდეგ კი შემოვლის დროს ექიმმა უთხრა, რომ სამუ-დამოდ ასე დარჩებოდა. ვალენტინ-მა შეიგრძნო სიკვდილის მომგვრე-ლი სიცივე და მაშინ მიხვდა, რომ ის ასე ვერ იცხოვრებდა.

ამის გამგონი ბევრი გაგიუდე-ბოდა, დანებდებოდა თავის ბედს. ასეთ სიტუაციაში ადამიანები არა მარტო ვარდებიან დეპრესიაში, არამედ ზოგიერთი სიცოცხლეს ისწრაფებს, მაგრამ ვალენტინ დიკული მათრიცხვს არ ეკუთვნოდა. ზუს-ტად იმ დღეს, როდესაც გაათვითცნობიერა თავის განაჩენი და არ ისურვა ბედს დანებებოდა, დაიწყო იმ ადამიანის კარიერა, რომელმაც სახელი გაითქვა არა მარტო რუსეთში. მან მტკიცედ გადაწყვიტა და-ბრუნებოდა სრულფასოვან ცხოვრებას და საცირკო ხელოვნებას. ვალენტინმა თავის თავს დაუსახა ნა-თელი მიზანი — საკუთარი ფეხების გაცოცხლება და ეს გადაწყვეტილება გახდა მისი გამარჯვების პირველი ნაბიჯი.

გადაწყვეტილება მიღებული იქნა. დიკულმა

დაიწყო წვრთნა. პირველ ხანებში ყველაფრით ვარჯიშობდა რასაც მისწვდებოდა (მაგალითად სკამით). ეწეოდა სიმძიმებს, როგორც შეეძლო. გადაგორდებოდა მუცელზე და ავარჯიშებდა ხე-ლების, მხრების, მუცლისა და ზურგის კუნთებს. მე-გობრებმა ცირკის ჯგუფიდან რეზინის ლახტები, ეს-პანდერები და ჰანტელები მოუტანეს. ვარჯიშობდა 5-6 საათი ყოველდღიურად. ტანი გაუმაგრდა, მა-გრამ ფეხებს არაფერი შეელოდა. მიუხედავად ამისა, იგი არ ნებდებოდა. უძლებდა აუტანელ ტკივილებს ხერხემალში და ასრულებდა ძალისმიერ ვარჯიშებს, ამაგრებდა კუნთურ კორსეტს. პირველ რიგში ზურგის კუნთებს, ხოლო უძილო ლამების დროს უკირკიტებდა სამედიცინო ლიტერატურას. მარ-ცვალმარცვალ აგროვებდა საჭირო ინფორმაციებს. ჯერშეისნავლა ადამიანის ანატომიის საინსტიტუტო კურსი, შემდეგ შეუდგა კუნთების აგებულების და ბიომექანიკის შესწავლას და ყველაფერი ეს ისწავ-ლა ძალიან ვიწრო სპეციალიზაციით, უშუალოდ ხერხემლის მოტეხილობის კუთხით. ის იგონებდა მომავალი ვარჯიშების სქემებს, ამუშავებდა ფიზი-კური ვარჯიშების მეთოდებს და ცდილობდა მათ პრაქტიკულად შესრულებას. ასე მიედინებოდა დრო და დიკული, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელი დღეების განმავლობაში თავს გრძნობდა, როგორც გამოწუ-რული ლიმონი.

ამ პერიოდში დიკულს მოუ-ვიდა იდეა, რომელიც საფუძვ-ლად დაედო მისი რეაბილიტა-ციის სისტემას. იგიდარწმუნდა, რომ საჭირო იყო არა მარტო ჯანმრთელი კუნთების ვარჯი-ში, არამედ მათთან ერთად სხე-ულის მოძრაობის უნარის დაკ-არგული ნაწილების ჩართვა მოძრაობაში. ამასთან ერთად უნდა გაკეთებულიყო მთლიანი ციკლის მოძრაობები, რომლის

დროსაც კუნთების დააბევა და მოდუნება (მოხრა-გაშლა) უნდა ყოფილიყო მთლიანი, ისე, როგორც მათი ჯანმრთელ მდგომარეობაში ყოფნის დროს გაკეთდებოდა. დიკული ფეხებზე იმაგრებდა თოკის ერთ ბოლოს. მეორეს ატარებდა საწოლის საზურგის თაღის ქვეშ და თავისკენ ქაჩავდა, აიძულებდა ქვე-და კიდურებს მოძრაობას. შემდეგ დაამატა საპირ-წონე, ტვირთი, რომლის დახმარებითაც ახერხებდა კიდურების მოძრაობაში ჩათრევას და ამით არე-გულირებდა დატყირთვის დოზირებასაც. საწოლის საზურგე ასრულებდა ბლოკის მოვალეობას. ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, მეგობრები მოეხმარნენ საწოლ-



ზე ბლოკური სისტემის მოწყობილობის დაყენებაში, რომელიც აღჭურვილი იყო ბურთულასაკისრებით და რომლის სქემაც დაამუშავა თვით დიკულმა.

ხომ არ ფიქრობთ, რომ იქიდან დაინტერის მისი გამოჯანმრთელება? არა! რვა თვის დაძაბული მუშაობის შემდეგ დიკული საავადმყოფოდან გამოეწერა, როგორც პირველი ჯგუფის ინვალიდი. გადაადგილება შეეძლო მხოლოდ საინვალიდო ეტლის დახმარებით და ამ დროს შეუსრულდა თექვსმეტი წელი.

ერთი თვე ვერაფრით აიძულა თავი გარეთ გამოსულიყო. ეჩვენებოდა, რომ ის ყველას ეცოდებოდა და აუტანელი წყენა ეუფლებოდა, შეურაცხყოფაც კი. პირველ ხანებში მეურვეობას უწევდა ბებია და თავის უსუსრობით უფრო მწარდებოდა. გაბრაზებულმა ერთხელ გადაწყვიტა ინვალიდის ეტლით წასულიყო პროფესიული შეძლების კულტურის სასახლეში. დირექტორი შეძრნუნდა მისი მონილოგოთ. მეორე დღეს დიკული დანიშნეს ცირკის ხელოვნების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელად. გავიდა ცოტაოდენი დრო და მან იგრძნო, რომ ვალენტინი მის მოსწავლებს სჭირდებოდათ. ხანდახან სი-

ტყვებით რომ ვერ უხსნიდა, ან მოსწავლებს არ გამოსდიოდათ, სურდა ტრიუკის პრაქტიკულად ჩვენება, რის გამოც ეტლიდან ვარდებოდა, მაგრამ მისი მოუქნელი ვარდნები არასდროს არ იწვევდა მათ სიცილს. იგი მათთვის მისაღები იყო ისე, როგორიც იყო. დიკული ისეთივეა, როგორც ისინი, მხოლოდ ცოტა შეზღუდული მოძრაობაში. მას შემდეგ, როდესაც დაღლილ-დაქანცული ბავშვები სახლში წასასვლელად დაიშლებოდნენ, ის ისევ იწყებდა ვარჯიშს. ჰო, ის ისევ ვანაგრძობდა თავდაუზოგავ ვარჯიშს სანუკვარი მიზნის მიღწევისათვის. რვა თვის უშედეგო ვარჯიშმა ვერ აძლელა უარი ეთქვა ვარჯიშის გაგრძელებაზე, რომლისაც ძალიან სჯეროდა.

ხუთი წელი ყოველ დღე თავდაუზოგავად ვარჯიშობდა. ყოველ დღე აიძულებდა თავს ყავარჯიშით ეარა გრძნობის დაკარგვამდე. ამის გამო ყოველდღიურად განიცდიდა ძალიან დიდ დაძაბულობას. როდესაც დადგებოდა ნერვული და ფიზიკური გადაღლილობა, ვარდებოდა ლოგინზე და მამინვე ეძინებოდა. გავიდა დრო და ვალენტინმა თავისუფლად დაიწყო საარული ყავარჯიშით. ეს იყო მისი რეალური გამარჯვების პირველი ნაბიჯი. ყველა ძალები იქნა გადასროლილი ფეხზე გასავლელად.

ტრავმის მიღებიდან ხუთი წლის შემდეგ, ზაფხულში, არდადებების დროს თავის წრის მოსწავლეები წაიყვანა ქალაქ ნიდში. გაშალა იქ კარვების ქალაქი, გააკეთეს პატარა არენა და მთელი დღეები რეპეტიციებს გადიოდნენ. ვალენტინს უეცრად აუნია ტემპერატურამ. სხეული ტყვიასავით დაუმძიმდა, თითქოს ხერხემალი ცეცხლში ენვიოდა, აუტა-

ნელი ტკივილები უმტვრევდა სხეულს, საშინელი კრუნჩხვები კუნთებს უგლეჯდა, ხოლო როდესაც გონზე მოდიოდა, ვერავის ცნობდა, ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს. ექიმები დაიბრუნა, ვერ გაერკვათ რა დაავადებამ შეიპყრო დიკული. მესამე დღეს დაეწყო კრიზისი. ვალენტინი გონს მოვიდა, მაგრამ იმდენად დასუსტდა, რომ განძრევა არ შეეძლო. მეორე დღეს კი მოხდა სასწაული. დიკულმა შეიგრძნო ბარძაყის ორთავა და ოთხთავა კუნთების მოძრაობა, ხოლო შემდეგ კი მუხლის სახსრების ბუნებრივი მოხრა-გაშლა კუნთების ერთდროული მუშაობის დროს. ვალენტინი ზეიმობდა. მიმდინარეობდა ზურგის ტვინის აღდგენა. ნემსის ჩხვლეტის დროს ის გრძნობდა ტკივილს. ეს იყო ძლიერ შესამჩნევი შეგრძნება, მაგრამ, სამაგიეროდ იყო ყველაზე სასიამოვნო და სასურველი ტკივილი მის ცხოვრებაში.

ორი კვირის შემდეგ მოხდა სასწაული-უიმედო ინვალიდმა გადაადგო ყავარჯიში და სიარული დაიწყო ორი მსუბუქი ჯოხის დახმარებით. ის დადიოდა, თვითონ, თავისი ფეხებით.

მიაღწია მიზანს? არა. მიზანი ხომ მარტო ფეხზე დადგომა კი არა, არამედ არენაზე დაბრუნება იყო. ჩანაფიქრი ბოლომდე უნდა მიეყვანა. ასე გადაწყვიტა მან. ამასთან ერთად (მან კარგად იცოდა, რომ არც ერთი სამედიცინო კომისია არ მისცემდა არენაზე გამოსვლის უფლებას, მით უმეტეს საჰაერო ჯანვარჯიშის ტრიუკებით გამოსვლის უფლებას) საჭირო იყო ახალისა და განუმეორებელის მოგონება და მან გადაწყვიტა ძალოსანი უონგლიორი გამხდარიყო. ხუთი წლის “უფეხო” ცხოვრების მანძილზე ის მიეჩინა ყველაფრის ხელებით კეთებას და იცოდა, რომ ისინი არ უღალატებდნენ. მან გადაწყვიტა ცირკის ძალოსანი მსახიობების დამყარებული რეკორდის დამხობა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მაგარი, ნავარჯიშები ფეხები და ზურგი. დიკული დაუბრუნდა ათლეტურ ტანვარჯიშს. მან გააკეთა თავისი ვარჯიშთა სისტემა, რომელიც განკუთვნილი იყო იმ ჯანმრთელი ადამიანისათვის, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა უფრო ძლიერი და ჯანმრთელი გამხდარიყო. ასე ეყრებოდა საფუძველი წვრთნის სისტემის მეორე ნაწილს, რომელიც მისცემდა არა მარტო ფეხზე დადგომის და ჯანმრთელობის განმტკიცების საშუალებას, არამედ ძალისმიერი სპორტის სახეობებში მაღალი შედეგების მიღწევის შესაძლებლობასაც.

კიდევ შვიდით თვე დადიოდა ვალენტინ ხელჯოხით, ხელძღვანელობდა საცირკო ხელოვნების შემსწავლელ წრეს და ნელნელა ამზადებდა თავის ნომერს. კიდევ ოთხი წელი ყოველდღიურად ამუშავებდა ნაბიჯის გადადგმის მოძრაობებს, სპეციალური მეტალის ფეხსაცმლის საშუალებით, რომელიც თვითონ გამოიგონა. დიკულმა დაიწყო სიარული და ამასთან ერთად დაიწყო რეკორდების დამყარება ცირკის არენაზე.

გამრიელება შემდეგი ნომერი



ი პ ი ლ ე ი ზ უ ნ ა

გია ნატრიაშვილი, ექიმი-ნეოროპათოლოგი, (პროფესორი),
სოფო ნატრიაშვილი ექიმი-ნეოროპათოლოგი

(მედ. მეცნ. კანდიდატი)

გამოცემული დასახლები №1(12)

არის თუ არა ეპილეფსია ეპილეფსია რაობითი დაავადება?

ეპილეფსიური დაავადება არ გადადის მემკვიდრეობით, ზოგიერთი ძალზე იშვიათი შემთხვევების გარდა (როდესაც ორივე მშობელი დაავადებულია ეპილეფსის გენეტიკური ფორმით). მემკვიდრეობით გადადის ორგანიზმის მზადყოფნა (განწყობა) ეპილეფსის მიმართ, რამაც შესაბამისი გარეშე მავნე ფაქტორების დახმარებით შესაძლებელია გამოიწვიოს ეპილეფსის განვითარება.

რა გამოკვლევა ტარდება ეპილეფსიის დროს?

ავადმყოფის სრული ნევროლოგიური გამოკვლევა გულისხმობს პირველ რიგში მშობლის გამოკითხვას (ანამნეზი) ოჯახის ბიოლოგიური და სოციალური გარემოს, ნათესავებში არსებული დაავადებების შესახებ: ამით შესაძლებელი ხდება რიგ შემთხვევებში ეპილეფსისადმი გენეტიკური განწყობის დადგენა. დიდი მნიშვნელობა აქვს დედის ორსულობისა და მშობიარობის პერიოდში ნაყოფზე შესაძლო მავნე მოქმედ ფაქტორების გამოვლენას, ახალშობილობის პერიოდის მდგომარეობის შეფასებას, ბავშვის ზრდისა და განვითარების თავისებურებების დადგენას. განსაკუთრებით სინატიფით, დაწვრილებით გამოვყითხავთ მშობლებს გულყრის აღმოცენების პირობების შესახებ (ტრავმა, შეშინება, მაღალი ტემპერატურა, ინფექცია, მზეზე გადახურება, ტელევიზიონორთან ჯდომა - ან ამ ფაქტორთა არარსებობა). მათ გულყრის ხელშემწყობი ანუ მაპროვოცირებელი ფაქტორები ეწოდება. ძალიან დიდი მნიშვნელობა დიაგნოსტიკისა და სწორი მკურნალობისთვის ენიჭება გულყრის ფორმულას. ე.ი. რატიპით, რა თანმიმდევრობით ვითარდება გულყრა, ყოველთვის ერთტიპიურია, თუ სხვადასხვანაირი (პოლიმორფული). გულყრის ფორმულის ანალიზი ხშირად ნარმოდგენას გვიქმნის თავის ტვინში ეპილეფსიური კერის ლოკალიზაციის შესახებ. ანამნეზის შეგროვების შემდეგ მოდის ავადმყოფის გასინჯვა ექიმის მიერ და ინსტრუმენტული გამოკვლევები ეპილეფსიის დროს არ არის ძვირი. ესაა ექოენცეფალოსკოპია-ულტრაბგერითი გამოკვლევა, რომლის

მიხედვით შესაძლებელი ხდება ქალას შიდა წნევის რეგისტრაცია, აგრეთვე თავის ტვინის ცენტრალური ნარმონაქმნების ცენტრიდან გადანაცვლების დადგენა. ეს მნიშვნელოვანია თავის ტვინში სიმსივნის გამოსარიცხად, როდესაც გულყრა ავადმყოფს აქვს არა ეპილეფსის, არამედ სიმსივნის ტვინზე ზენოლის გამო (ე.ნ. სიმპტომატური ეპილეფსია). ამავე მიზნებს ემსახურება თვალის ფსკერის გამოკვლევა. მცირე ასაკის (2 წლამდე) ბავშვებში ხშირად საჭირო ხდება სისხლში კალციუმის შემცველობის გამოკვლევა, ვინაიდან მისი ნაკლებობა ამ ასაკში ხშირად ხდება კრუნჩების განვითარების მიზეზი (ე.ნ. ჰიპოკალცემიური კრუნჩება). სანამ ბავშვს ლა აქვს ყიფლიბანდი, ძალიან ინფორმატიულია ნეიროსონოგრაფიაც - ესეც ულტრაბგერითი არასაზიანო გამოკვლევაა, რომლის მეშვეობითაც ეკრანზე მოჩანს თავის ტვინის სხვადასხვა ნაწილი, ღრუები, სისხლძარღვთა წნულები. ამ გამოკვლევებით ხდება ტვინის განვითარების დარღვევების, სხვადასხვა დეფექტების, აგრეთვე სამშობიარო ტრავმის შედეგად თავი ტვინში სისხლჩაქცევის დიაგნოზი.

ელექტრონცეფალოგრამა (ეეგ) თავის ტვინის ბიოლოგიური ელექტრობის ჩანაწერია. იგი გვაძლევს ინფორმაციას თავის ტვინის ნორმალური და პათოლოგიური ბიოელექტრული აქტივობის შესახებ და აქედან გამომდინარე - ეპილეფსიური პროცესის გამოხატულების ხარისხის შესახებ. ეეგ-ს საშუალებით რიგ შემთხვევაში ხდება აგრეთვე ეპილეფსიური კერის რეგისტრაცია. ამიტომ ეპილეფსის დროს ეეგ-გამოკვლევა უნდა წარმოებდეს 6 თვეში ერთხელ მაინც. რეგულარული ეეგ-გამოკვლევა იძლევა საშუალებას გავაკუნტროლოთ წარმოებული მკურნალობის ეფექტურობა. ეეგ გვეხმარება აგრეთვე მკურნალობის ვადების დადგენაშიც. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შემთხვევათა დაახლოებით 25%-ში ეეგ და ავადმყოფის გამოვლინებები არ ემთხვევა ერთმანეთს. სწორედ ამიტომ ეეგ არ არის ერთადერთი გადამწყვეტი კრიტერიუმი ეპილეფსიის დროს. თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია და ე.ნ. ბირთვულ - მაგნიტური რეზონანსი რთული და ძვირადღირებული გამოკვლევებია. ისინი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ინიშნება მაშინ, როდესაც წარმოებული მკურნალობა არაეფექტურია, უფრო კი როდესაც მკურნალობის ფორმზე გვაქვს გულყრათა გახშირება, გულყრის ფორმულის შეცვლა.

არის თუ არა ყველა გულყრა ეპილეფისა?

რა თქმა უნდა არა! არის მთელი რიგი გულყრებისა, რომლებიც ეპილეფისას არ წარმოადგენს. ესაა, პირველ რიგში, მაღალი ტემპერატურის ფონზე განვითარებული გულყრათა (ე.წ. ფებრილური გულყრა) დიდი ნაწილი, ორგანიზმში კალციუმის და 6 ვიტა-მინის უკმარისობით პირობადებული გულყრები 2 ნლამდე ბავშვებში, აფექტურ-რესპირაციული გულყრა (ჩაბჟირება, ჩასუსტება) 4-5 ნლამდე ასაკში, სინკოპალური გულყრა (გულის წასვლა) უფრო მოზარდ ბავშვებში და სხვ. მეორე ამბავია, რომ ამ სახის გულყრის დიაგნოზი კვლავაც სპეციალისტ-მა უნდა მოახდინოს და კვლავაც მხოლოდ მიზან-დასახული გამოკვლევის შემდეგ. ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი არაეპილეფისიური სახის გულყრა სწორი მკურნალობის გარეშე რიგ შემთხვევაში შეიძლება გადაიზარდოს ეპილეფისიურში. ხოლო საპირისპირო შემთხვევაში, ე.ი. ბავშვთა ასაკში კრუნჩხვის სწორი და ხანგრძლივი მკურნალობისას, შესაძლებელია ბევრ შემთხვევაში პაციენტის სრული განკურნება.

როგორ ვუკურნალოთ ეპილეფისა?

ეპილეფისიური გულყრის სახეობები იმდენად ბევრია და სამკურნალობაში საშუალებები იმდენად მრავალფეროვანია, რომ ეპილეფისის სწორი მკურნალობა ექიმის დიდგამოცდილებას მოითხოვს. მედიკამენტი, ან მათი კომპლექსი, შეირჩევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ავადმყოფის ინდივიდუალური თავისებურებების და ნატიფი ნეკროლოგიური გამოკვლევის საფუძველზე.

რა უძღა იცოდეს მარგალა?

- გულყრის განვითარებისთანავე მიმართეთ ექიმს, ნუ დაელიოდებით მომდევნო გულყრათა განვითარებას, რაც დიდ უმრავლესობაში ხდება.
- არ მიმართოთ ე.წ. შინაური საშუალებებით მკურნალობას.
- ჩაატარეთ ბავშვის რეგულარული შემოწმება ექიმთან 2-3 თვეში ერთხელ, ხოლო ლაბორატორიული გამოკვლევა 5-6 თვეში ერთხელ.
- ეპილეფისია საჭიროებს ხანგრძლივ და განუწ-

ყვეტლივ მკურნალობას.

• არავითარ შემთხვევაში არ მოხსნათ და არ შეცვალოთ წამალი თქვენი ექიმის გარეშე. ამან შეიძლება გამოიწვიოს გულყრის განახლება უფრო მძიმე ფორმით, ვიდრე მანამდე იყო.

• მკურნალობის უეცრად, ერთბაშად შეწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი განუწყვეტელი გულყრითი მდგომარეობის განვითარება (ე.წ. ეპილეფისიური სტატუსი).


• ეპილეფისიური სტატუსის დროს სიკვდილიანობა სტაციონარში აღწევს 20%-ს, ხოლო მისი შემდგომი ინვალიდობა 30%-ს. პირველ რიგში დაიმახსოვრეთ, არ გამოკეტოთ ბავშვი სახლში, არ შეზღუდოთ თანატოლებთან კონტაქტებში, რათა მას შემდგომში მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ დაჰყვეს არასრულფასოვნების კომპლექსი. შეუმუშავეთ მას რაციონალური, მაგრამ სრულფასოვანი დღის რეჟიმი: იაროს საბავშვო ბაღში, ან სკოლაში, ისწავლისა და ითამაშოს, მხოლოდ გადაუჭარბებლად, გადაღლის გარეშე. აუცილებელია ძილი საკმარისი პერიოდის განმავლობაში, დასვენება დღისით 1-2 საათი. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მედიკამენტების რეგულარულ საათობრივ მიღებას.

ნუ შეაყოვნებთ პაციენტს მზეზე და ტელევიზორთან, ვინაიდან რადიაციადა სინათლის ციმციმის ხელს უწყობს გულყრის განვითარებას. ამავე მიზეზით, საზაფხულო დასასვენებელი ადგილის შერჩევისას ნუ შეჩერდებით ზღვის კურორტებზე, მიეცით უპირატესობა საშუალო სიმაღლის მთის კურორტებს (მაგ. სურამი-ბორჯომის მონაკვეთი). ეპილეფსით დაავადებული ბავშვის კვების რაციონიდან ამოღებული უნდა იყოს ცხვრის და ღორის ხორცი. ჭარბი ცხიმი, შოკოლადი, კაკაო, ყავა, მაგარი ჩაი, შებოლილი პროდუქტები და კონსერვი, მწარე, მუავე და მარილიანი საკვები. ნუ დაალევინებთ დილიდან (II კვებაზე) რძეს, განსაკუთრებით აუდუღარს. რიგ შემთხვევებში საჭირო ხდება დიდი რაოდენობით ცხიმების მიცემა. ასეთ დროს ექიმი მოგაწვდით ინსტრუქციებს. გახსოვდეთ, რომ გულყრა, თუნდაც ეპილეფსიური ხასიათის, ბავშვთა ასაკში ჯერ კიდევ არ ნიშნავს ეპილეფსიას. ეპილეფსია ვითარდება მხოლოდ გულყრათა განმეორების შედეგად, ხშირად უმკურნალო, ან ცუდად ნამკურნალებ შემთხვევებში.

უურნალი “იმედი+”-ს რედაქცია იუნივერსიტეტის საქართველოს უსინათლოთა კავშირის თავმჯდომარის ბ-ნ რევაზ მაისურაძის შვილის, ლევანის ტრაგიკულად გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს დაღუპულის ოჯახს

სიმართლის განვითარებელი ვარჯიშები

ვარჯიშები ტანკარჯიშული რგოლით




1. ფეხშლით დგომი. ნებისმიერი ფეხის წინფეხი, ჰულაჰუპი გვიჭირავს ნებისმიერ ხელით ქვედა ბოლოში.

დავალება — მარჯვენა ხელით ჰულაჰუპის წრიული ტრიალი.

2. იგივე, მარცენა ხელის ირგვლივ წრიული ტრიალი.

3. იგივე, მხოლოდ ტრიალის დროს ჰულაჰუპის ხელიდან ხელში გადატანით.




ვარჯიშები ბაბთებით

1. ს.მ. ძირითადი დგომი.(შემდეგ ძ.დ.) ბაბთებით ვარჯიში. ხელები და ბაბთების ტარი დაშვებულია ძირს.

დავალება—ბაბთის სპირალური მოძრაობა დიაგონალზე. (მარჯვენა და მარცხენა ხელით).

2. იგივე, მხოლოდ ცერზე დგომით.

3. იგივე, მხოლოდ ტანის უკუზნექში ცალ ფეხზე დგომით. მეორე ფეხი უკან არის გატანილი.




1. ს.მ. ძ.დ.ბაბთებიანი ნებისმიერი ხელის წინმკლავი ნახევრად დახრილი.

დავალება—იატაცზე და ჰაერში ვერტიკალური სპირალური მოძრაობები უკან სვლით.

2. იგივე, მხოლოდ ცეკვის ნაბიჯებით.

3. იგივე, მხოლოდ ჩახტომებით.



ვარჯიშები გურზებით

1. ს.მ. ფეხშლით დგომი. ხელში დაჭერილი გურზები ქვემოთ არის მიმართული.

დავალება — პირით წინ ხელების წრიული მოძრაობები (მარჯვნივ, მარცხნივ) ყურადღება მიექცეს შესრულების ტემპს და გამართულ ხერხემალს.

2. იგივე, მხოლოდ ერთი გურზი ზემკლავში, მეორე ქვემკლავში. ტრიალი შესრულდეს გვერდით სიბრტყეში.


3. იგივე, მხოლოდ გურზები გვიჭირავს წინ გაწვდილი ხელებით. წრიული მოძრაობები სრულდება პირით წინ სიბრტყეში მარჯვენა და მარცხენა მხარეს.


1. ს.მ. ფეხშლით დგომი. გურზებით განმკლავი.

დავალება — გურზების ტრიალი მცირე წრეზე. (ყურადღება მიექცეს მაჯის სახსარში გურზების ტრიალს).

2. იგივე, მხოლოდ მკლავს გარეთ ტრიალი.

3. იგივე, მხოლოდ მკლავებს წინ და მკლავებს გარეთ ტრიალი.






1. ს.მ. ფეხშლით დგომი მხრების სიგანეზე. მარჯვენა ხელის ზემკლავი, მარცხენის ქვემკლავი.

დავალება — ხელების უკუქნევი (2-ჯერ) შემდგომში ხელების მდგომარეობის ცვლით.

2. იგივე, მხოლოდ შესაბამისი წონის ჰანტელებით.

3. იგივე, მხოლოდ ვიყენებთ მე-2 ვარჯიშში

გამოყენებული ჰანტელების წონაზე მეტი წონის ჰანტელებს. (აღნიშნული ვარჯიში შეიძლება შესრულდეს ხელების ზემკლავში და მკერდის წინ იდაყვში მოხრილ მდგომარეობაში).




1. ს.მ. ჰარტნიორები დგანან დგომში ერთმანეთის ზურგით მიყენდნობილი და ხელების იდაყვის სახსარში გადაჭდობილი.

დავალება — ჰარტნიორის ზურგით გადაწევა მხრის სარტყელში გაზნექით, შემდგომში მეორე ჰარტნიორის, იგივე უკუქმედებით.

2. იგივე, მხოლოდ ხელის მაჯაში ჩავლებით (ხელები დახრილია ქვემოთ) წინ ვარდნით.

3. იგივე, მხოლოდ ხელების მაჯაში ჩავლებით და წინვარდნით (ხელები აღმართულია ზემოთ).




1. ს.მ. ფეხშლით დგომი მხრების სიგანეზე. ტანვარჯიშული ჯოხი ხელებით გვიჭირავს ორივე ბოლოთი ქვემკლავში.

დავალება — ჯოხზე გადაბიჯება ჯერ ერთი, მერე მეორე ფეხით.

2. იგივე, მხოლოდ გადაბიჯება წინ და უკან.

3. იგივე, მხოლოდ ორივე ფეხის გადაბიჯება.

ჯოხის უკან გატანა, ხელების მაჯის სახსარში ამოტრიალებით ჯოხთან ერთად ზემკლავი.




1. ს.მ. ზურგზე წოლით. ტანვარჯიშული ჯოხი ორივე ბოლოთი გვიჭირავს ხელში. წინმკლავი.

დავალება — მოდუნული ფეხები გავატაროთ ჰორიზონტალურად მდებარე ჯოხის ზემოდან, ფეხები მუხლებში მოვხაროთ და გავმალოთ.

2. იგივე, მხოლოდ ჯოხზე ფეხები გადავატაროთ ცალ-ცალკე რიგრიგობით.

3. იგივე, მხოლოდ ჰორიზონტალური ჯოხის ქვეშ, ფეხები მოვხაროთ და გავმართოთ.



1. ს.მ. ზურგზე წოლით, ხელები ტანის გასწვრივ.

დავალება — ზურგზე დაყრდნობით ზნექი მკერდის არეში, ხელების ფერდებზე მიდებით.

2. იგივე, მხოლოდ თავით ვეყრდნობით კალათბურთის ბურთზე.

3. იგივე, მხოლოდ კისრით ვეყრდნობით ტენილ ბურთს, ხოლო ფეხებით ტანვარჯიშულ სკამს.



პაროლიმპიური ამბები

მაღა აითვება პაროლიმპიური ცეცხლი



მიმდინარე წლის 12 მარტს, ვანკუვერში (კანადა) სტარტს აიღებს თანამედროვეობის უდიდესი საინვალიდო სპორტული ღონისძიება-ზამთრის X საერთაშორისო პაროლიმპიური თამაშები.

ოლიმპიური თამაშების დამთავრებისთანავე მსოფლიოს 40 ქვეყნის 650 საუკეთესო სპორტსმენი ჩაეპარტია სპორტულ ასპარეზობაში და შეეჯიბრებიან ერთმანეთს სპორტის 5 სახეობაში. 2010 წლის ვანკუვერის ზამთრის პაროლიმპიური თამაშების ემბლემა წარმოადგენს ათლეტების, სპორტისა და გარე სამყაროს შორის ჰარმონიის სიმბოლოს. ემბლემაზე მოჩანს ადამიანის დინამიური, სტილური გამოსახულება, რომელიც შემოსაზღვრულია კანადის მინდვრების, მთებისა და მზის კონტურებით. ეს გამოსახულება მიგვანიშნებს ადამიანის შინაგანი ძალების სიდიადგზე, რომელიც ტრანსფორმირდება პიროვნების ცხოვრებაში დამკვიდრების, სიძნელეების გადალახვისა და ახალი რეკორდების დამყარების პროცესში. ემბლემა შექმნა ვანკუვერის დიზაინერთა ჯგუფმა Karacters-მა.

თამაშების განრიგი

	სპორტის სახეობა	ჩატარების დრო	ჩატარების ადგილი
1	სლეჯ ჰოკი	13-14 მარტი 16-20	ვანკუვერი, ცენტრალური არენა
2	კერლინგი ეტლებით	13-20 მარტი	ვანკუვერი, პაროლიმპიური ცენტრი
3	სამთო სათხილამური სპორტი	13-16 მარტი 18-21	ვისტლერი, კარიკაიდის სათხილამური არენა
4	თხილამურებით რბოლა	14-15, 18 მარტი 20-21	ვისტლერი, პაროლიმპიური პარკი
5	ბიატლონი	13, 17 მარტი	ვისტლერი, პაროლიმპიური პარკი

ამ თამაშებისათვის შექმნილი ყველა მედალი უნიკალურია. დიზაინერებმა შექმნეს, როგორც ზღვის ტალღის, თოვლის და ბრიტანეთის კოლუმბიის მთების მსგავსი მედლები, რომლის შექმნას და დამზადებას 2 წელი დასჭირდა. ეს მედლები, ყველაზე მძიმე მედლებია პაროლიმპიური თამაშების ისტორიაში. მათი წონა მერყეობს 500-დან 570 გრამამდე (დამოკიდებულია მედლის ხარისხზე), დიამეტრია 100 მმ. და სისქე დაახლოებით 6 მმ. პაროლიმპიური თამაშებისათვის დამზადდა 399 მედალი და მათი დამზადებისათვის დაიხარჯა 2 კილოგრამი ოქრო.



პაროლიმპიური კომიტეტის საორგანიზაცია საპარავი

დასახელებულია 6 კანდიდატი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო პაროლიმპიური კომიტეტის სპორტსმენთა საბჭოს არჩევნებში. არჩევნები ჩატარდება 10-15 მარტს, ვამკუვერის ზამთრის X პაროლიმპიური თამაშების ჩატარების დროს. ესენი არიან:

- | | | |
|-----------------------|--------------------------|------------|
| 1. იანიკ ბურსეუქსი | თხილამურებით რბოლა | საფრანგეთი |
| 2. ესქილ ჰავენი | სლეჯ ჰოკი | ნორვეგია |
| 3. ტედ ნიკოლსონი | სლეჯ ჰოკი | კანადა |
| 4. კატარზინა როგოვიცე | თხილამურებით რბოლა | პოლონეთი |
| 5. გერდ შენფელდერი | სამთო სათხილამურო სპორტი | გერმანია |
| 6. ვილიამ სტიუარტი | თხილამურებით რბოლა | აშშ. |

წარმოდგენილი 6 კანდიდატიდან უნდა აირჩეს 3 წევრი. არჩევნებში მიღების საშუალება ექნებათ პაროლიმპიურ თამაშებში მონაწილე ყველა სპორტსმენს. პაროლიმპიური კომიტეტის სპორტსმენთა საბჭოს მიზანია წარმოადგენდეს პაროლიმპიელ სპორტსმენთა კოლექტიურ აზრს, როგორც საერთაშორისო პაროლიმპიურ კომიტეტში, ასევე საერთაშორისო პაროლიმპიურ მოძრაობაში საერთოდ. ეს საბჭო არის შეუამავალი გადაწყვეტილების მიმღებების, საერთაშორისო პაროლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებსა და სპორტსმენ-პაროლიმპიელთა შორის. მათ წინაშე აყენებს ისეთ მთავარ საკითხებს და კონსტრუქციულ წინადადებებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს პაროლიმპიური კომიტეტის წევრების მიერ ყველა დონის გადაწყვეტილების მიღების დროს. საერთაშორისო პაროლიმპიური კომიტეტის სპორტსმენთა საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპორტსმენთა საბჭოსთან და ამით პარმონიულს ხდის ოლიმპიური და პაროლიმპიური კომიტეტების თანამშრომლობას.

მასალა მომზადებულია 2010 წლის პაროლიმპიური თამაშების ოფიციალური საიტის მიხედვით.

განახლება

მოგონებები გამოჩენილ ადამიანებზე

ერთხელ მარკ ტვენი ერთ პატარა ქალაქში ჩავიდა ლექციის წასაკითხად. სადილობამდე იგი საპარიკმახეროში მივიდა წვერის გასაპარსად.

— ამ ქალაქში თქვენ უცხო ხართ? ჰყითხა დალაქმა.

— დიახ, — უპასუხა მარკ ტვენმა, — ამ ქალაქში პირველად ვარ.

— კარგი დრო აგირჩევიათ ჩამოსვლისათვის, — განაგრძო დალაქმა, — დღეს საღამოს მარკ ტვენმა ლექცია უნდა წაიკითხოს, წასვალთ არა?

— ჰო ვაპირებ.

— მერე და ბილეთი ნაყიდი გაქვთ?

— ჯერ არა.

— ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია, თქვენ ფეხზე დგომა მოგიწევთ.

— რა სამწუხაროა! — ამოიოხრა მარკ ტვენმა, — ბედი არაფერში მწყალობს. ყოველთვის ფეხზე დგომა მიწევს, როცა ის კაცი ლექციას კითხულობს.

ჯეკ ლონდონმა დააგვიანა მოთხოვნის ჩაბარება, რომელსაც ის დაპირდა ნიუ-იორკის ერთი გაზეთის რედაქტორს. რედაქტორმა თვითონ მიაკითხა სასტუმროში და ასეთი წერილი მისწერა: “ძვირფასო ჯეკ ლონდონ! თუ არ მივიღებ მოთხოვნას ოცდაათ საათში, ამოვალ თქვენს ოთახში და პანლურის კვრით ჩამოგაგდებთ, თანაც იცით, მე ყოველთვის ვასრულებ პირობას”. ლონდონმა უპასუხა — “ძვირფასო დიკ! თქვენსავით ფეხებით რომ მუშაობდე, მეც შევასრულებდი დაპირებას”.

— ნურავინ ნუ იტყვის, ცნობილი პიროვნება ვარო, — ამბობდა დიდი იტალიელი მომღერალი ენრიკო კარუზო, მსოფლიოში განთქმული ტენორი.

— როცა ნიუ-იორკის შტატში მანქანით ვმგზავრობდი, — განაგრძო დიდმა მომღერალმა, — მანქანა გამიფუჭდა და ერთ ფერმას შევაფარე თავი. სანამ მანქანას შეაკეთებდნენ

დავუმეგობრდი ფერმერს, რომელმაც ვინაობა გამომკითხა. მე ვუთხარი, რო კარუზო ვარ. ფერმერი წამოიჭრა და ორივე ხელი მტაცა.

— როგორ ვიფიქრებდი, რომ ჩემს საწყალ ხუსულაში ვეღირსებოდი ასეთი კაცის სტუმრობას, დიდო მოგზაურო რობინზონ კარუზო! წამოიძახა მან.

კარგი აღზრდა იმით კი არ გამოიხატება, რომ სანებელს სუფრაზე არ დაღვრი, არამედ იმით, რომ არ შეამჩნევ, როცა ეს სხვას დაემართება.

ანტონ ჩეხოვი

პურის ხე

ტროპიკულ ქვეყვებში ხარობს ხე, რომელსაც არტოკარპუსს — პურის ხეს უწოდებენ. ამ ხეს წყნარი ოკენის უდაბური კუნძულების მცხოვრებნი აფასებენ; ქოქოსის პატმასთან ერთად პურის ხის ნაყოფი მათი ძირითადი საკვები პროდუქტია. პურის ხე გარეგნულად ჩვენებურ მუხას ჩამოჰკავს, ოღონდ ფოთლები აქვს უფრო ფართო და დაკბილული. მისი ნაყოფი საკმაოდ დიდია. ხმირად გოგრისოდენა იზრდება და 20 კილოგრამამდე აღწევს.. აღსანიშნავია, რომ ნაყოფი პირდაპირ ლეროზე, ხის სოკოს მსგავსად ამოდის. სიმწიფის დრო რომ მოახლოვდება, დიდი და პატარს ტყეში მიდის, აგროვებენ ნაყოფს და ქვის დიდ როდინებში ნაყავენ, შემდეგ წყალთან ან ქოქოსის წვენთან ერთად ზელენ და გახურებულ ქვებზე აცხობენ. ასე მომზადებული პურის ხის ნაყოფით გამომცხვარი პური თითქმის არაფრით გამოირჩევა მაღალხარისხოვანი პურისაგან. პურის ხე მხოლოდ 60-70 წლამდე ცოცხლობს, მეწლეობა არ იცის და ნაყოფს განუწყვეტლივ იძლევა. 5-7 ხეს შეუძლია ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოს საკმაოდ დიდი ოჯახი.



ძვირფასო მკითხველო, გთხოვთ, ითანამშრომლოთ ჩვენს უურნალთან.

გამოგვეხმაურეთ, მოგვწერეთ თქვენს ისტორიაზე, თქვენი ცხოვრების ამბებზე, გამოგვიგზავნეთ თქვენი ლექსები, მოთხრობები, საკუთარი ბიოგრაფია, თქვენს მიერ გადაღებული ფოტოები. დიდი სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ და თქვენს შემოქმედებას გავაცნობთ ფართო საზოგადოებას. ნუ დაიზარებთ, გაუზიარეთ თქვენი ცოდნა და გამოცდილება სხვებს. ვიყოთ ერთმანეთის იმედი.